

გადასასაღები და დაბეგვრა

(სქემები, ცხრილები,
განმარტებები, ტესტები)

დამხმარე სახელმძღვანელო
ეკონომიკური სპეციალოგების
სტუდენტებისათვის

თბილისი 2011

ბადასახადები და დაბეგვრა
დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკური
სპეციალობების სტუდენტებისათვის

ISBN

© 2011, პირველი გამოცემა

დაბეგვრის სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ერთერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი სახელმწიფოს ხელში სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელებს შორის ურთიერთობის რეგულირებისათვის. ამასთან ძალზე იშვიათია ცოდნის ისეთი სფერო, რომელიც ინვესტებს იმდენ კამათს, აზრთა იმდენ წინააღმდეგობრივ სხვადასხვაობას, როგორც დაბეგვრა, საგადასახადო სისტემა. გამოჩენილი ფრანგი განმანათლებელი - შარლ ლუი მონტესკიე აღნიშნავდა, რომ „არაფერი არ საჭიროებს იმდენ სიბრძნესა და ჭკუას, როგორც განსაზღვრა იმ ნაწილისა რასაც ართმევენ ქვეშედომებს და რასაც უტოვებენ მათ“.

დაბეგვრის სფერო არის ერთერთი, მუდმივად შეუთამხმებელი საკითხი ხელისუფლებასა და გადამხდელებს შორის. ამავდროულად ეს ის სფეროა სადაც თითქოს ყველამ ყველაფერი იცის და თითქოს სადაოც არაფერი უნდა იყოს. „მალაი გადასახადები ცუდია, დაბალი გადასახადები კარგი“ - ამას აღიარებს ყველა ხელისუფალი და ყველა გადამხდელი, მაგრამ რა ზომისაა „მალაი“ და „დაბალი“ კონკრეტულად ამა თუ იმ ეკონომიკისათვის, კონკრეტული გადამხდელისათვის, ასევე თითქმის არავინ იცის. გადასახადის გადახდა კი არავის მოსწონს.

ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, დაბეგვრის თეორიის ერთერთი ფუძემდებელი - უილიამ მეტი აღნიშნავდა „ადამიანებს ყველაზე მეტად აღიზიანებს ის, რომ ისინი იხდიან უფრო მეტ გადასახადებს, ვიდრე მათი მეზობლები“; „კარგი გადასახადები არ არსებობს“, ამბობდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი; კანადელი პოლიტიკოსი თომას უაითი კი ასე ხუმრობდა - „დაბეგვრის სფეროში ჩემი გამოცდილება - ის კი ძალზე ფართოა - მონიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი პოპულარული გადასახადი - ის რომელსაც იხდიან სხვები“.

დაიხ, გადასახადების გადახდა არავის მოსწონს, მაგრამ მის აუცილებლობას ასევე თითქმის ყველა აღიარებს. ამიტომაც ისტორია არ იცნობს არც ერთ სახელმწიფოს, რომელმაც გადასახადების გარეშე შეძლო არსებობა. გადასახადი ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი ატრიბუტია და მისი გადახდა გადამხდელის აუცილებელი, მაგრამ საპატიო ვალდებულება. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში უდიდესი შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი - ადამ სმიტი წერდა „გადასახადები, მათთვის ვინც მათ იხდის არის არა მონობის, არამედ თავისუფლების მაჩვენებელი“.

გადასახადის გადახდა აუცილებელია, სავალდებულოა - ეს ყველამ იცის, მაგრამ რამდენი უნდა იყოს ის - თითქმის არავინ. ალბათ ამიტომაც ასე ხშირად ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს. ყველა ხელისუფალი მეტ-ნაკლებად ცდილობს გამოიყენოს მინიჭებული უფლებები და თავისი „გენიალური აზრები“ ასახოს საგადასახადო კანონმდებლობაში. ეკონომიკისა და კანონმდებლობის თვალსაზრისით ისეთ სტაბილურ ქვეყანაშიც კი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, გასული საუკუნის ბოლოს, სულ რაღაც 10 წელიწადში საგადასახადო კანონმდებლობის ორი უმნიშვნელოვანესი, სიღრმისეული რეფორმა განხორციელდა. ველარაფერს ვამბობთ საქართველოზე, სადაც უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში სამი საგადასახადო კოდექსი იქნა მიღებული, ხოლო მიღებულ კოდექსებში, ყოველწლიურად, ათეულობით, თუ არა ასეულობით ცვლილებები შედიოდა და ამჟამადც შედის. ეს, რასაკვირველია, პირველ რიგში,

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობით არის განპირობებული, თუმცა, არც თუ ისე იშვიათად ამას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთა არაკომპეტენტურობა, პირადი, კორუფციული ინტერესებიც ემატებოდა.

ყოველივე ეს გადასახადის გადამხდელს, ძირითადად მენარმებს, ძალზე ძვირად უჯდება. მათთვის საგადასახადო კოდექსი და გადასახადის გადახდის ვალდებულება არასასიამოვნო ემოციებს და რაც მთავარია კონკრეტული ქმედებების სურვილს იწვევს. გადამხდელი ხშირად ცდილობს თავი აარიდოს გადასახადის გადახდას. მუშაობს და ცხოვრობს პრინციპით „იქნებ გადავჩქ“. მისთვის საგადასახადო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა ძალზე გართულებულია და თითქმის აზრს კარგავს. ასე ყალიბდება დაბეგვრისადმი ნიჰილისტური, ინდეფერენტული დამოკიდებულება მთელ საზოგადოებაში - როგორც სახელისუფლებო წრეებში, ისე გადასახადის გადამხდელეებში.

ამ ფონზე უაღრესად მნიშვნელოვანია დაბეგვრის თეორიული საფუძვლების, მოქმედი საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების პრაქტიკის ღრმა ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ უნარი თავიანთი თეორიული ცოდნა გამოიყენონ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და აღორძინებისათვის.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის (2011 წლის 1სექტემბრის მდგომარეობით), ოფიციალური სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის ბაზაზე ინტერნეტ-რესურსების ფართო სპექტრის, დიდი ოდენობის სალიტერატურო წყაროების გამოყენებით. იგი მოიცავს მრავალ სათვალსაწირო მასალას - 400-მდე სქემას, ცხრილს, დიაგრამას, ცნებებსა და განმარტებებს. სასწავლო მასალის ილუსტრაციებით (სქემა, ცხრილები და ა. შ.) გადმოცემის მეთოდიკა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის მისი აღქმის გააადვილებას. წიგნი შედგება 14 თავისაგან და სრულად შეესაბამება უმაღლეს სასწავლებლებში გადასახადებისა და დაბეგვრის სასწავლო კურსის პროგრამებს. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია საკონტროლო კითხვები და საკონტროლო ტესტები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებას და თვითკონტროლს.

დამხმარე სახელმძღვანელო გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისათვის. მისი მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს დაბეგვრისა და გადასახადების კურსის შესწავლისას ლექციებისა და სემინარული მეცადინეობების, სახელმძღვანელოებზე და ნორმატიულ დოკუმენტებზე მუშაობისას მიღებული ცოდნის გაღრმავებაში და სისტემატიზაციაში, ძირითადი კატეგორიების, ცნებების, ტერმინოლოგიის ათვისებაში.

წიგნი შეიძლება გამოყენებული იქნეს ლექციებზე და სემინარებზე, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისას, გამოცდებისათვის მზადების დროს. იგი სასარგებლო იქნება და გამოადგება აგრეთვე მენარმე სუბიექტებს, მენეჯერებს, ბუღალტრებს, გადასახადებისა და დაბეგვრის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

წიგნი წარმოადგენს საქართველოში დაბეგვრის სფეროში ასეთი ფორმით დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის პირველ მცდელობას. ამდენად ის არ იქნება დაზღვეული ცალკეული ნაკლოვანებებისაგან, მეთოდური თუ სხვა სახის უზუსტობებისაგან. ავტორები სიამოვნებით მიიღებენ შენიშვნებსა და წინადადებებს ნებისმიერი პირისაგან, რომლებიც დაგვეხმარება მისი შინაარსის სრულყოფაში.

თავი 1

გადასახადები დაბეგვრა. ცნება, სოციალურ-ეკონომიკური არსი	7
1.1 გადასახადების არსი და მნიშვნელობა	9
1.2 გადასახადების წარმოშობა და განვითარება.....	23
1.3 საგადასახადო თეორიები	27
1.4 დაბეგვრის ფუნქციები.....	35
საკონტროლო კითხვები და ტესტები	38

თავი 2

გადასახადების ელემენტები და კლასიფიკაცია	41
2.1 გადასახადის (დაბეგვრის) ელემენტები	43
2.2 გადასახადების კლასიფიკაცია	51
საკონტროლო კითხვები და ტესტები	63

თავი 3

საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემის მართვა.....	65;
3.1 საგადასახადო პოლიტიკა.....	67
3.2 დაბეგვრის პრინციპები	73
3.3 საგადასახადო სისტემის მართვა	87
3.4 დაბეგვრის ოპტიმიზაცია	93
3.5 საგადასახადო ტვირთი	101
საკონტროლო კითხვები და ტესტები	109

თავი 4

საქართველოს საგადასახადო სისტემა	113
საკონტროლო კითხვები და ტესტები	129

თავი 5

საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები.	
პირდაპირი გადასახადები.....	131
5.1 საშემოსავლო გადასახადი.....	133
5.2 საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები	153
5.3 მოგების გადასახადი	159
საკონტროლო კითხვები და ტესტები	166

თავი 6

საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები.	
არაპირდაპირი გადასახადები	169
6.1 დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)	171
6.2 აქციზი	181
6.3 იმპორტის გადასახადი	189
საკონტროლო კითხვები და ტესტები	194

თავი 7

ადგილობრივი გადასახადები. ქონების გადასახადი.....	197
საკონტროლო კითხვები და ტესტები	207

თავი 8

მოსაკრებლები	209
საკონტროლო კითხვები და ტესტები	215

თავი 9

საქონლის გადადგილება საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე.....	217
9.1 დებულებები	219
9.2 სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი. სასაქონლო ოპერაციები.....	227
საკონტროლო კითხვები და ტესტები	235

თავი 10

განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები.....	237
10.1 ზოგადი დებულებები	239
10.2 აშშ-ს საგადასახადო სისტემა.....	247
10.3 გერმანიის საგადასახადო სისტემა.....	255
10.4 საფრანგეთის საგადასახადო სისტემა.....	263
10.5 იტალიის საგადასახადო სისტემა	269
10.6 იაპონიის საგადასახადო სისტემა.....	275
საკონტროლო კითხვები და ტესტები	278

თავი 10

საერთაშორისო თანამშრომლობა დაბეგვრის სფეროში.....	281
საკონტროლო კითხვები და ტესტები	287

თავი 11

საგადასახადო ვალდებულება	289
საკონტროლო კითხვები და ტესტები	309

თავი 12

საგადასახადო ანგარიშგება და საგადასახადო კონტროლი	311
საკონტროლო კითხვები და ტესტები	319

თავი 13

საგადასახადო სამართალდარღვევები და პასუხისმგებლობა. საგადასახადო დავები	321
საკონტროლო კითხვები და ტესტები	331
პასუხები	333
ბამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურა	334

გადასახადები და დაბეგვრა

ცნება,
სოციალურ-ეკონომიკური
არსი

„ამ ქვეყანაზე მხოლოდ ორი
რამ არის გარდაუვალი -
სიკვდილი და გადასახადები“
ბენუამინ ფრანკლინი

„მომზადებებს ისეთივე ძალით რა
ისეთივე ბავშვიანი წინააღმდეგობით
სძულთ გარდასახადები. რთვლთ
ბავშვებს სძულთ ყბიროების გამობრვან“
პოლო სპოტონი

1.1

გადსახადების არსი და მნიშვნელობა

„არსებითად საკითხი გადასახადების შესახებ არის საკითხი სახელმწიფოს შესახებ“

პიერ ჟოზეფ პრუდონი



„გადასახადი საკუთრებასთან, ოჯახთან, წესრიგთან და რელიგიასთან ერთად მეხუთე ღმერთია“

გრაფი დე მანტალამბერი



„გადასახადები ეს არის ფასი, რომელსაც ვიხდით ცივილიზებულ საზოგადოებაში ცხოვრების შესაძლებლობისათვის“

ოლივერ უენდლი ჰოლმსი - უფროსი



„არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია გადასახადების გარეშე არსებობა“

ფრანჩესკო ნიტი



„გადასახადი მთავრობის მკვებავი დედის ძუძუა“

გრაფი დე მანტალამბერი

გადასახადი

ფულადი ურთიერთობები, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს ფუნქციების (შესასრულებლად აუცილებელი) ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეული ნაწილის ამოღება

(ვიკიპედია)

ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტში ამოღებული სავალდებულო გადასახდელი


(დაბეგვრის ტერმინების ლექსიკონი)

ჯნება

გადასახდადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

(საქართველოს საგადასახადო კოდექსი)

სურათი 1.2



სურათი 1.3

ცნება მოსაკრებელი

სახელმწიფოს ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ განეული მომსახურების ან მინიჭებული უფლების ფასი

სურათი 1.4

გადასახადის ნიშნები
(მახასიათებლები)

- გამამხდელის საკუთრების ნაწილის გადაცემა სახელმწიფოსათვის
- გადასახადის დანესება კანონით
- გადახდის სავალდებულო (იძულებითი) ხასიათი
- ფულადი ხასიათი
- უსასყიდლო ხასიათი
- არაექვივალენტური ხასიათი
- აბსტრაქტული ხასიათი
- შეიტანება ბიუჯეტში

დაბეგვრა

სახელმწიფოს ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად ან ფისკალური პოლიტიკის განსახორციელებლად გადასახადების იძულებითი და უსასყიდლო ამოღება

(ვიკიპედია)

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფოსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სასარგებლოდ იმ ფულადი გადასახდელების დარიცხვა და ამოღება, რომლებიც შეადგენენ საბიუჯეტო სახსრების მთავარ წყაროს

(დაბეგვრის ტერმინების ლექსიკონი)


ცნება




სახელმწიფოს ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯების დასაფინანსებლად ან ფისკალური პოლიტიკის განსახორციელებლად გადასახადებისა და მოსაკრებლების დარიცხვა და ამოღება.

სურათი 1.6




სურათი 1.7







სურათი 1.11



სურათი 1.12





სურათი 1.15

ღირსეული ცხოვრება

ოპტიმალური ცხოვრებისეული
სტანდარტების უზრუნველყოფა

ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია

საზოგადოებრივი
უსაფრთხოება

სურათი 1.16


ადამიანური პოტენციალის განვითარების კრიტერიუმები

სიცოცხლის
ხანგრძლივობა

განათლების
ღონე

მშპ ერთ სულ
მოსახლეზე

სურათი 1.17



სურათი 1.18


სახელმწიფო ხარჯების დინამიკა ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში

ქვეყანა	სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში, %						
	1880 წ.	1929 წ.	1960 წ.	1970 წ.	1980 წ.	1990 წ.	2000 წ.
აშშ	8.0	10.0	27.8	32.2	31.4	32.8	33.1
იაპონია	11.0	19.0	18.3	19.3	32.0	31.3	35.5
ინგლისი	10.0	24.0	32.6	39.3	43.0	39.9	39.7
გერმანია	10.0	31.0	32.0	37.6	47.9	45.1	47.4
საფრანგეთი	15.0	19.0	34.6	38.9	46.1	49.8	53.2
შვედეთი	6.0	8.0	31.1	43.8	60.1	59.1	60.8


სურათი 1.19

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა საქართველოში

ბიუჯეტის შემოსულობები აბსოლუტურ მაჩვენებლებში 2004 - 2009 წლებში, მლნ ლარი



ბიუჯეტის შემოსულობების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან 2004 - 2009 წლებში



სურათი 1.20

სახელმწიფო ხარჯების დონის ზრდის მიზეზები

- მოსახლეობის რაოდენობის ზრდა
- მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლების გამოთანაბრების აუცილებლობა
- რეგიონთაშორისი განვითარების გამოთანაბრების აუცილებლობა
- ადამიანური კაპიტალის როლის ზრდა

სურათი 1.21

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა (მლნ. ლარი)

დასახელება	წლები					
	2005	2006	2007	2008	2009	2010
შემოსავლები სულ	2213.0	3293.3	4293.6	5517.7	4917.0	5421.5
გადასახადები	1836.1	2633.1	3010.5	4541.6	4161.7	4592.4
გრანტები	104.5	194.0	208.6	617.1	387.7	471.4
სხვა შემოსავლები	272.4	466.2	352.4	359.0	367.6	357.7

სურათი 1.22

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა (%)

დასახელება	წლები					
	2005	2006	2007	2008	2009	2010
შემოსავლები სულ	100	100	100	100	100	100
გადასახადები	83.0	80.1	86.9	82.3	84.6	84.7
გრანტები	4.7	5.9	4.9	11.2	7.9	8.7
სხვა შემოსავლები	12.3	14.2	8.2	6.5	7.5	6.6


სურათი 1.23

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის
საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ
(%)

დასახელება	წლები						
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
გადასახადები სულ	19.6	20.8	22.8	25.8	24.6	24.4	23.6
საშემოსავლო გადასახადი	2.7	2.5	2.8	3.1	6.7	6.2	5.8
მოგების გადასახადი	1.6	1.8	2.5	3.3	3.1	2.9	2.8
დღგ	6.4	8.5	9.7	11.6	10.7	11.4	10.7
აქციზი	2.1	2.5	2.4	2.5	2.7	2.5	2.7
საბაჟო გადასახადი	1.0	1.1	1.0	0.3	0.3	0.2	0.3
ქონების გადასახადი	0.5	0.5	0.6	0.6	0.7	0.9	0.9
სხვა გადასახადები	5.3	3.9	3.9	4.4	0.4	0.3	0.3


სურათი 1.24

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის
საგადასახადო შემოსავლები
მშპ-ს მიმართ
(სულ საგადასახადო შემოსავლები)




1.2

გადსახადების
ნარმოშობა
და
განვითარება



სურათი 1.24



სურათი 1.26

ძველი მსოფლიო და შუა საუკუნეები

პირველი პერიოდი

დაბეგვრის პირველი ელემენტების წარმოშობა

პირველი სახელმწიფოების წარმოშობა
გაღმასახლების გადახდა ძირითადად ნატურალური ფორმით უსისტემოდ ხორციელდება

ძველი რომი
ერთ-ერთი პირველი სრულყოფილი საგაღმასახლო სისტემა (დაბეგვრა ქონებრივი შესაძლებლობისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით)

ევროპა
განვითარებული საგაღმასახლო სისტემები არ არსებობს შუა საუკუნეებამდე

მეორე პერიოდი

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო, მეთვრამეტე საუკუნე

სურათი 1.27

დაბეჭვრის განვითარება, საგადასახადო სისტემებისა და თეორიების წარმოშობა




მესამე პერიოდი

მეცხრამეტე საუკუნე, მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი

სურათი 1.28

დაბეჭვრის სრულყოფა



სურათი 1.29

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი დღემდე

გაერთიანებული
პერიოდი

გლობალური საგადასახადო რეფორმები

ფართომასშტაბიანი
საგადასახადო რეფორმების
განხორციელება

საგადასახადო სისტემების
ჰარმონიზაცია

ფისკალური პოლიტიკის
უნიფიკაცია

სურათი 1.30

გადასახადები ძველ საქართველოში

ისტორიული წყაროები –
„სამარფოის წიგნი“; „დასტურ-ლამალი“

გადასახადები (ადრეული ფეოდალიზმის
პერიოდი) – ნატურალური ფორმა (მარცვლეული,
ცხოველები, ფრინველები, შრომითი ბეგარა)

გადასახადები (გვიანი ფეოდალიზ-
მის პერიოდი) – რენტა (შრომამიგებითი,
პროდუქტებით, ფულადი)

1.3

საგადასახადო
თეორიები

სურათი 1.31

საგადასახადო თეორიები



ასახავენ ზოგადად დაბეგვის დანიშნულებას

შეისწავლიან ცალკეულ საგადასახადო საკითხებს

„გადასახადი არის მარცვის ნებადართული ფორმა“
თომა აქვინელი



„მოქალაქეთა ღიად გაქურდვა არ არის უფრო უზნეო, ვიდრე მალულად, არაპირდაპირი გადასახადებით იმ პროდუქტებზე, რომელთა გარეშეც მათ არ შეუძლიათ არსებობა. პირადად მე მინდა ვიქურდო ღიად“
კალიგულა

სურათი 1.32

ზოგადი საგადასახადო თეორიები





**შარლ ლუი
დე მონტესკიე**
(1689–1755)



**ფრანსუა მარი არჟე
„ვოლტერი“**
(1694–1778)



**ონორე გაბრიელ
მირაბო**
(1749–1791)

ატომისტური თეორია

(შ. მონტესკიე, ვოლტერი, ო. მირაბო)

გადასახადი წარმოადგენს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის გარიგებას, გადასახადების სანაცვლოდ სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქის პირად და ქონებრივ უსაფრთხოებას. ეს გარიგება იძულებითი და ხშირად უსამართლოა.

„სახელმწიფო შემოსავლები არის თითოეული მოქალაქის მიერ თავისი ქონების გამოყოფილი ნაწილი, რათა მშვიდად ისარგებლოს დანარჩენით“

შარლ ლუი მონტესკიე



„გადასახადის გადახდა ნიშნავს საკუთარი ქონების ნაწილის გაცემას, რათა შეინარჩუნო დანარჩენი“


ვოლტერი



„გადასახადი არის წინასწარი გადახდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მისაღებად“

ონორე გაბრიელ მირაბო

სურათი 1.34



**ჯონ რამსეი
მაკ-კულოხი**
(1789-1864)



**ლუი ადოლფო
ტიერი**
(1797-1877)



**ემილ
დე ჟირარდენი**
(1806-1884)

დაზღვევის თეორია

(*ჯ. მაკ-კულოხი, ა. ტიერი, ე. დე ჟირარდენი*)

გადასახადი წარმოადგენს სადაზღვევო შენატანს, რომელსაც უხდის მოქალაქე სახელმწიფოს თავისი შემოსავლებისა და ქონების პროპორციულად და ამით აზღვევს თავის პირად და ქონებრივ უსაფრთხოებას სხვადასხვა რისკებისაგან.

სურათი 1.35



ადამ სმიტი
(1723-1790)



დევიდ რიკარდო
(1772-1823)

კლასიკური თეორია

(**საგადასახადო ნეიტრალიტეტის თეორია**)

(*ა. სმიტი, დ. რიკარდო*)

გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც უნდა დაიფაროს სახელმწიფოს ხარჯები საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და საკუთრების დაცვის სფეროში.

„გადასახადები მისთვის ვინც მათ იხდის არის არა მონობის, არამედ თავისუფლების მაჩვენებელი“ -
ადამ სმიტი




„ბარბაროსობის ყველაზე დაბალი საფეხურიდან კეთილდღეობის უმაღლეს საფეხურზე სახელმწიფოს ასაყვანად საჭიროა მხოლოდ სამი პირობა: პირველი - საშინაო და საგარეო მშვიდობა; მეორე - მოთმინება სახელმწიფოს მმართველობაში; მესამე - დაბალი გადასახადები. ყველა დანარჩენს გააკეთებს ცხოვრების ბუნებრივი მსვლელობა“

ადამ სმიტი

სურათი 1.36

კეინსიანური თეორია (ჯ. კეინსი)

გადასახადები წარმოადგენს ეკონომიკის რეგულირების მთავარ ბერკეტს. გადასახადების ზრდა ამცირებს, ხოლო გადასახადების შემცირება ასტიმულირებს მოთხოვნას. დიდი დანაზოგები აფერხებენ ეკონომიკის განვითარებას, ამიტომ აუცილებელია მათი ამოღება გადასახადების მეშვეობით.




ჯონ მაინარდ კეინსი
(1883–1946)

სურათი 1.37

მონეტარისტული თეორია (მ. ფრიდმანი)

ეკონომიკის რეგულირება შესაძლებელია ფულის მიმოქცევის მეშვეობით. გადასახადების მეშვეობით ხორციელდება მიმოქცევიდან ზედმეტი ფულის (ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი) ამოღება.



მილტონ ფრიდმანი
(1912–2006)

სურათი 1.38



არტურ ლაფერი

მინოდების ეკონომიკის თეორია

(მ.ბერნსი, გ. სტაინი, ა. ლაფერი)

გადასახადები ეკონომიკის განვითარებისა და რეგულირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მაღალი გადასახადები უარყოფითად მოქმედებს სამენარმეო და საინვესტიციო აქტივობაზე. საგადასახადო ტვირთის შემცირებას მივყავართ ეკონომიკურ აღმავლობასთან.

„რაც უფრო მაღალია ზღვრული საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო ძლიერი მოტივი ექნებათ ინდივიდულებს მათგან თავის ასარიდებლად. ადამიანები მუშაობენ არა იმიტომ, რომ გადაიხადონ გადასახადები“

არტურ ლაფერი

სურათი 1.39

კერძო საგადასახადო თეორიები

პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრის შეთანხმების თეორია

ერთი გადასახადის თეორია

პროპორციული დაბეგვრის თეორია

პროგრესული დაბეგვრის თეორია

სურათი 1.40

პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრის შეთანხმების თეორია

პირდაპირი დაბეგვრა უფრო სამართლიანია და გამოიყენება საგადასახადო წნეხის გათანაბრებისათვის. არაპირდაპირი დაბეგვრა შემოსავლების მიღების უფრო ეფექტური საშუალებაა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა იდეა იმის თაობაზე, რომ სრულყოფილი საგადასახადო სისტემის შესაქმნელად აუცილებელია დაბეგვრის ამ ორი ფორმის შეთანხმება პირდაპირი დაბეგვრის უპირატესობით.

სურათი 1.41

ერთი გადასახადის თეორია

გადასახადები უნდა გადახდილი იქნას ერთი წყაროდან (მაგ. შემოსავალი, მიწა, კაპიტალი, ხარჯი). ასეთი დაბეგვრა მიზანშეწონილი და ძალზე მარტივია, თუმცა ნაკლებად განხორციელებადი და არარეალისტური.

სურათი 1.42

პროპორციული დაბეგვრის თეორია

საგადასახადო განაკვეთები უნდა განისაზღვროს ერთნაირი ოდენობით (პროცენტი) გადამხდელის შემოსავლების სიდიდის მიუხედავად. ამ თეორიას მხარს უჭერს მოსახლეობის შექცევადი ფენები და მიიჩნევენ მას სამართლიანად და თანაბარ დაბეგვრის პრინციპის შესაბამისად.

სურათი 1.43

პროგრესული დაბეგვრის თეორია

საგადასახადო განაკვეთები და ტვირთი იზრდება გადამხდელის შემოსავლების ზრდის პარალელურად. მდიდარი გადამხდელი უნდა დაიბეგროს როგორც აბსოლუტურად ისე შეფარდებით უფრო მეტად ვიდრე ღარიბი გადამხდელი.

სურათი 1.44


საგადასახადო ტვირთის გადაკისრების თეორია

გაცვლისა და განაწილების პროცესში პირს (გამყიდველი, მყიდველი), რომელსაც კანონით ეკისრება გადასახადის გადახდა, ხშირ შემთხვევაში საშუალება აქვს გადააკისროს ეს საგადასახადო ტვირთი სხვა პირს (მყიდველი, გამყიდველი).

1.4

დაბეჭდვის ფუნქციები

სურათი 1.45



სურათი 1.46

დაბეგვრის (გადასახადების) ფისკალური ფუნქცია

დაბეგვრის (გადასახადების) ძირითადი ფუნქცია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი ფინანსური რესურსების ფორმირებას და მათ აკუმულირებას ბიუჯეტსა და ფულადი სახსრების სხვა ცენტრალიზებულ ფონდებში.

სურათი 1.47

დაბეგვრის (გადასახადების) მარეგულირებელი ფუნქცია

გულისხმობს დაბეგვრის (გადასახადების) გავლენას ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებაზე ან შენელებაზე, ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებზე, სამენარმეო საქმიანობის განვითარებაზე და საინვესტიციო აქტიურობაზე, მოხმარების სტიმულირებაზე ან შეზღუდვაზე და ა.შ.

დაბეგვრის (გადასახადების) მასტიმულირებელი ფუნქცია

დაბეგვრის (გადასახადების) მარეგულირებელი ფუნქციის გამოვლენის ფორმა, მისი ერთერთი ქვეფუნქცია, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების მეშვეობით ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს, დარგის (მცირე ბიზნესი, ტურიზმი, საინვესტიციო საქმიანობა, დასაქმება და სხვა) ხელშეწყობას, სტიმულირებას.

დაბეგვრის მადესტიმულირებელი ფუნქცია

დაბეგვრის (გადასახადების) მარეგულირებელი ფუნქციის გამოვლენის ფორმა, მისი ერთერთი ქვეფუნქცია, რომელიც გულისხმობს საგადასახადო პოლიტიკის მკაცრი მოდელის (მაღალი საგადასახადო განაკვეთები, შეღავათების გამოუყენებლობა, შეზღუდვები) გამოყენებით ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს, დარგის განვითარების (იმპორტი, ეკოლოგიურად მავნე წარმოება, სათამაშო ბიზნესი), ზოგიერთი საქონლის მოხმარების (თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლური სასმელები) შეზღუდვას.

საკონტროლო კითხვები

1. დაახასიათეთ გადასახადი როგორც ეკონომიკური და როგორც ფინანსური კატეგორია.
2. განმარტეთ ტერმინები „გადასახადი“, „მოსაკრებელი“, „დაბეგვრა“.
3. ახსენით სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობა.
4. დაახასიათეთ დაბეგვრის განვითარების ძირითადი ეტაპები.
5. რა განსხვავებაა დაბეგვრის ზოგად და კერძო თეორიებს შორის?
6. დაახასიათეთ დაბეგვრის კლასიკური თეორია.
7. დაახასიათეთ დაბეგვრის კეინსიანური თეორია.
8. დაახასიათეთ დაბეგვრის მონეტარისტული თეორია.
9. დაახასიათეთ მინოდების ეკონომიკის თეორია დაბეგვრაში.
10. დაახასიათეთ დაბეგვრის კერძო თეორიები.
11. დაახასიათეთ დაბეგვრის ფუნქციები.

საკონტროლო ტესტები

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადების მახასიათებელი ნიშნებია:
 - ა) გადახდის უსასყიდლობა, ექვივალენტურობა, აუცილებლობა;
 - ბ) გადახდის უსასყიდლობა, არაექვივალენტურობა, აუცილებლობა;
 - გ) გადახდის ექვივალენტურობა, სასყიდლიანობა, აუცილებლობა;
 - დ) გადახდის უსასყიდლობა, არაექვივალენტურობა, ნებაყოფლობითობა;
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადი არის:
 - ა) ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ სავალდებულო და უსასყიდლო შენატანი ბიუჯეტში;
 - ბ) სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი, სასყიდლიანი ან უსასყიდლო შენატანი ბიუჯეტში ან ბიუჯეტგარეშე ფონდებში;
 - გ) სახელმწიფოს ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი და უსასყიდლო გადასახდელი ბიუჯეტში;
 - დ) სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გამომხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.
3. გადასახადების წარმოშობა დაკავშირებულია:
 - ა) ვაჭრობის განვითარებასთან;
 - ბ) სახელმწიფოს წარმოშობასთან;
 - გ) სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების წარმოშობასთან;
 - დ) მრეწველობის განვითარებასთან;

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადები შეიტანება:
 - ა) სახელმწიფო ბიუჯეტში;
 - ბ) ადგილობრივ ბიუჯეტებში;
 - გ) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში;
 - გ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში;
 - დ) ბიუჯეტში.

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილი შეადგენს:
 - ა) 60%-მდე;
 - ბ) 60-70%;
 - გ) 70-80%;
 - დ) 80-90%;
 - ე) 90%-ზე მეტს.

6. დაბეგვრის თეორიის ფუძემდებელია:
 - ა) უილიამ პეტი;
 - ბ) ადამ სმიტი;
 - გ) დავიდ რიკარდო;
 - დ) ჯონ კეინსი.

7. გადასახადს სახელმწიფო ხარჯების გასაწევად აუცილებელი შემოსავლების წყაროდ განიხილავს:
 - ა) დაბეგვრის კეინსიანური თეორია;
 - ბ) დაბეგვრის ატომისტური თეორია;
 - გ) დაბეგვრის მონეტარისტული თეორია;
 - დ) დაბეგვრის კლასიკური თეორია.

8. დაბეგვრის ეკონომიკური პრინციპები პირველად ჩამოაყალიბა:
 - ა) ჯონ კეინსმა;
 - ბ) დავიდ რიკარდომ;
 - გ) ადამ სმიტმა;
 - დ) არტურ ლაფერმა.

9. დაბეგვრის კეინსიანური თეორიის მიხედვით:
 - ა) გადასახადები გავლენას ახდენენ ფულის მოძრაობაზე;
 - ბ) გადასახადები წარმოადგენენ ეკონომიკის რეგულირების მთავარ ბერკეტს;
 - გ) გადასახადები წარმოადგენენ სახელმწიფო ხარჯების გასაწევად აუცილებელი შემოსავლების წყაროს;
 - დ) მაღალი გადასახადები იწვევენ საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას.

10. გადასახადების ფუნქციებია:
 - ა) ფისკალური და მასტიმულირებელი;
 - ბ) ფისკალური, მარეგულირებელი, მასტიმულირებელი;
 - გ) ფისკალური და მარეგულირებელი;
 - დ) მარეგულირებელი, მაკონტროლებელი, სოციალური.

- 11. გადასახადის ფისკალური ფუნქციის არსი მდგომარეობს:**
- ა) სახელმწიფოს სოციალური მიზნების მისაღწევად ეკონომიკის ცალკეული დარგების სტიმულირებაში;
 - ბ) სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად, გადასახადის გადამხდელთა შემოსავლების ნაწილის ამოღების გზით, სახელმწიფო ფონდების შექმნაში;
 - გ) მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილის გადანაწილებაში;
 - დ) სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში.
- 12. გადასახადის მარეგულირებელი ფუნქციის არსი მდგომარეობს:**
- ა) ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე საფინანსო კონტროლის განხორციელებაში;
 - ბ) აუცილებელი რაოდენობის საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციაში;
 - გ) ეკონომიკის ცალკეულ დარგებს, ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებსა და ცალკეულ პირებს შორის ფინანსური რესურსების გადანაწილებაში;
 - დ) სახელმწიფო საფინანსო კონტროლის განხორციელებაში.
- 13. პროპორციული დაბეგვრის თეორია განეკუთვნება:**
- ა) დაბეგვრის ზოგად თეორიათა ჯგუფს;
 - ბ) დაბეგვრის კერძო თეორიათა ჯგუფს.
- 14. ბიუჯეტის შემოსავლების უზრუნველყოფა ხორციელდება:**
- ა) დაბეგვრის ფისკალური ფუნქციის რეალიზაციით;
 - ბ) დაბეგვრის მარეგულირებელი ფუნქციის რეალიზაციით;
 - გ) დაბეგვრის მასტიმულირებელი ფუნქციის რეალიზაციით;
 - დ) დაბეგვრის განმანაწილებელი ფუნქციის რეალიზაციით.


გადასახადების
ელემენტები
და
კლასიფიკაცია

2.1

გადასახადის (დაბეგვრის) ელემენტები


სურათი 2.1

გადასახადის (დაბეგვრის) ძირითადი ელემენტები



სურათი 2.2


გადასახადის (დაბეგვრის) დამატებითი ელემენტები



სურათი 2.3




სურათი 2.4



სურათი 2.5

გადასახადის (დაბეგვრის) საგანი


რეალური ნივთი ან არამატერიალური სიკეთე, რომელთან სუბიექტის ურთიერთობაშიც წარმოშობა საგადასახადო ვალდებულება



სურათი 2.6

გადასახადის (დაბეგვრის) მასშტაბი


დაბეგვრის საგნის ზომითი მახასიათებელი (ფიზიკური პარამეტრი)




სურათი 2.7




სურათი 2.8




სურათი 2.9




სურათი 2.10



სურათი 2.11



სურათი 2.12



სურათი 2.13

საგადასახადო პერიოდი

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდება საგადასახადო ბაზის ფორმირება და საგადასახადო ვალდებულების სრულად განსაზღვრა.

საქართველოში – კალენდრული წელი (საშემოსავლო, მოგების, ქონების გადასახადების) კვარტალი (დღგ, აქციზი)

სურათი 2.14

გადასახადის გამოანგარიშების წესი

გადასახადის გამოანგარიშებისათვის გამოიყენება:

- არაკუმულატიური წესი – საგადასახადო ბაზა იბეგრება და გადასახადი გამოანგარიშება ნაწილ-ნაწილ შემოსავლების მიღების შესაბამისად;
- კუმულატიური წესი (დაბეგვრა ნაზარდი ჯამით) – საგადასახადო ბაზა იბეგრება და გადასახადი გამოანგარიშება ნაზარდი ჯამით პერიოდის დასაწყისიდან.

სურათი 2.15

გადასახადის გადახდის წესი და ვადები

გადასახადის გადახდისთვის გამოიყენება:


- დეკლარაციული წესი (გადასახადის გადახდა შემოსავალი) – მიღების შემდეგ დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე;
- ადმინისტრაციული წესი (გადასახადის გადახდა შემოსავლის მიღებამდე) – საგადასახადო აგენტის მიერ შემოსავლის მიღების წყაროსთან მისი დაკავების გზით;
- კადასტრული წესი (გადასახადის გადახდა დაბეგვრის საგნის (ძირითადად ქონების) საკადასტრო აღრიცხვის (რეესტრის) მონაცემების საფუძველზე).

გადასახადის გადახდის კონკრეტული ვადები განისაზღვრება კანონით.

სურათი 2.16

გადასახადის მიმღები

გადასახადის მიმღები შეიძლება იყოს:



2.2

გადასახადების
კლასიფიკაცია

სურათი 2.17

გადასახადების კლასიფიკაცია





სურათი 2.20

გადასახადების კლასიფიკაცია მიზნობრივი დანიშნულების (გამოყენების) მიხედვით

საერთო დანიშნულების (აბსტრაქტული) გადასახადები (გამოიყენება ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებისათვის ხარჯვის კონკრეტული მიმართულებების განუსაზღვრელად)

სპეციალური დანიშნულების გადასახადები (გამოიყენება კონკრეტული სახის სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად. მაგ. სოციალური გადასახადი, საგზაო გადასახადი)

სურათი 2.21


გადასახადების კლასიფიკაცია გადასახადის შემოღების წესის მიხედვით

საერთო-სახელმწიფოებრივი (ფედერალური) გადასახადები (შემოიღება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადანაცვტილებით)


რეგიონალური გადასახადები (შემოიღება სახელმწიფოს რეგიონალური ორგანოების გადანაცვტილებით)

ადგილობრივი გადასახადები (შემოიღება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადანაცვტილებით)

სურათი 2.22



სურათი 2.23



სურათი 2.24

პირდაპირი გადასახადები

პირდაპირი გადასახადებით იბეგრება გადამხდელის შემოსავალი და ქონება

პირდაპირი რეალური გადასახადებით დაბეგვრისას გაითვალისწინება გადამხდელის მოსალოდნელი შემოსავალი (სიკეთე) და არ გაითვალისწინება მისი გადახდისუნარიანობა (მაგალითად ქონების გადასახადი).

პირდაპირი პირადი გადასახადებით იბეგრება გადამხდელის ნამდვილად მიღებული შემოსავლები და შესაბამისად გაითვალისწინება მისი გადახდისუნარიანობა.

სურათი 2.25

არაპირდაპირი გადასახადები

არაპირდაპირი გადასახადებით იბეგრება საქონლის მიწოდება, მომსახურების განწევა, სამუშაოს შესრულება და ის შეიტანება საქონლის, მომსახურების, სამუშაოს ფასში.


ინდივიდუალური არაპირდაპირი გადასახადები (აქციზები) გამოიყენება ზოგიერთი სახის საქონლის მიწოდების დასაბეგრავად.

უნივერსალური არაპირდაპირი გადასახადები გამოიყენება პრაქტიკულად ყველა საქონლის მიწოდების, მომსახურების განწევის, სამუშაოს შესრულების დასაბეგრავად (მაგ. დღგ).


ფისკალური მონოპოლიური გადასახადებით იბეგრება იმ საქონლის მიწოდება, რომლის წარმოება და/ან რეალიზაცია სახელმწიფოს აქვს მონოპოლიზებული.

საბაჟო გადასახადებით იბეგრება საქონლის ექსპორტი-იმპორტი.

სურათი 2.26



სურათი 2.27



სურათი 2.28


გადახდის წესი

გადახდის კადასტრული წესის დროს გამოიყენება დაბეგვრის საგნის საკადასტრო აღრიცხვის (რეესტრის) მონაცემები;

გადახდის ადმინისტრაციული წესის (გადახდა შემოსავლის მიღებამდე) **დროს** საგადასახადო აგენტის მიერ ხდება გადასახადის გამოანგარიშება და დაკავება შემოსავლის მიღების წყაროსთან;

გადახდის დეკლარაციული წესის (გადახდა შემოსავლის მიღების შემდეგ) **დროს** გადასახადის გამოანგარიშება და გადახდა ხდება გადამხდელის მიერ გადასახადის საგადასახადო პერიოდის შესაბამისად წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

სურათი 2.29



თანაბარი დაბეგვრა

გადასახადის ყველა გადამხდელი იხდის თანაბარი თანხის გადასახადს – სულადობრივი გადასახადის ერთერთი ნაირსახეობა.

დაბეგვრის ერთერთი ყველაზე ძველი და მარტივი მეთოდი – არ ითვალისწინებს გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას და შემოსავლების დონეს.

გამოიყენება ძალზე იშვიათად (ზოგიერთ ქვეყანაში – კეთილმოწყობის გადასახადი; თბილისში – ამ მეთოდით განისაზღვრებოდა დასუფთავების მოსაკრებელი)

პროპორციული დაბეგვრა

გადასახადის ყველა გადამხდელი იხდის გადასახადს თანაბარი განაკვეთით – საგადასახადო ბაზის ზრდის შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი რჩება უცვლელი, ხოლო გადასახადის თანხა იზრდება პროპორციულად.

პრინციპი – ყველა ვალდებულია გადაუხადოს სახელმწიფოს თავისი შემოსავლებისა და ქონების თანაბარი წილი.

(საშემოსავლო გადასახადი საქართველოში – 20%; მოგების გადასახადი – 15%).

სურათი 2.32

პროგრესული დაბეგვრა

საგადასახადო ბაზის ზრდის პარალელურად იზრდება საგადასახადო განაკვეთი.

პრინციპი – მდიდარი გადამხდელი უნდა დაიბეგროს როგორც აბსოლუტურად ისე შეფარდებით უფრო მეტად, ვიდრე ღარიბი გადამხდელი. გადასახადის გადამხდელის გადახდისუნარიანობა განისაზღვრება არა მარტო შემოსავლების დონით, არამედ აგრეთვე ამ შემოსავლებით გადამხდელის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებით.

შეფარდებით თანაბარი, შეფარდებით პროპორციული საგადასახადო ტვირთის პრინციპი.

სურათი 2.33

პროგრესული დაბეგვრა

პროგრესული დაბეგვრისას გამოიყენება:

მარტივი თანრიგებიანი პროგრესია - საგადასახადო ბაზა იყოფა ცალკეულ თანრიგებად და თითოეული თანრიგისათვის განისაზღვრება გადასახადის აბსოლუტური თანხა.

მაგალითად შემოსავლები:

1-200 ლარი, გადასახადი – 15 ლარი;

201-500 ლარი, გადასახადი – 75 ლარი;

501- 1000 ლარი, გადასახადი – 200 ლარი;

1001-2000 ლარი, გადასახადი – 500 ლარი.

გადასახადის საერთო თანხა გამოიანგარიშება შემოსავლების ცალკეული თანრიგებისათვის განსაზღვრული გადასახადების თანხების შეჯამებით.

პროგრესული დაბეგვრა

მარტივი ფარდობითი პროგრესია – საგადასახადო ბაზა იყოფა ცალკეულ თანრიგებად და თითოეული თანრიგისათვის განისაზღვრება გადასახადის მყარი ან საპროცენტო განაკვეთი.

გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ბაზის გამრავლებით შესაბამის განაკვეთზე და მაკორექტირებელი თანხების გამოკლებით. მაგ. შემოსავლები:

- 1000-3000 ლ, განაკვეთი – 12%,
კორექტირება – 0 ლ;
- 3100-10000 ლ, განაკვეთი – 15%,
კორექტირება – 100 ლ;
- 10100-30000 ლ, განაკვეთი – 20%,
კორექტირება – 1000 ლ;
- 30000 ლარზე მეტი, განაკვეთი – 25%,
კორექტირება – 5000 ლ.

პროგრესული დაბეგვრა

რთული პროგრესია – საგადასახადო ბაზა იყოფა ცალკეულ თანრიგებად და თითოეული თანრიგისათვის განისაზღვრება საკუთარი საპროცენტო განაკვეთი. ამასთან მაღალი საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება მხოლოდ წინა თანრიგთან შედარებით ნამეტ შემოსავლებზე. მაგალითად შემოსავლები:

- 6000 ლარამდე, განაკვეთი – 12%;
- 6001-დან 15000 ლარამდე, განაკვეთი – 720 ლარი + 6000 ლარს ზემოთ შემოსავლების 15%;
- 15001-დან 30000 ლარამდე, განაკვეთი – 2070 ლარი + 15000 ლარს ზემოთ შემოსავლების 20%;
- 30000 ლარზე მეტი, განაკვეთი – 5070 ლარი + 30000 ლარს ზემოთ შემოსავლების 25%.

სურათი 2.30

პროგრესული დაბეგვრა

ფარული პროგრესია – საგადასახადო ბაზა იყოფა ცალკეულ თანრიგებად, რომელთა მიმართაც პროგრესული დაბეგვრა მიიღწევა დაბალი თანრიგებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებით (საგადასახადო ბაზის შემცირება, გამოქვითვები) და არა თანრიგების მიხედვით საგადასახადო განაკვეთების ზრდით

სურათი 2.37

რეგრესული დაბეგვრა

საგადასახადო ბაზის ზრდის პარალელურად მცირდება საგადასახადო განაკვეთი.

მაგალითად აშშ-ში კორპორაციათა მოგების ფედერალური გადასახადი მოიცავს რეგრესული დაბეგვრის ელემენტებს:

0-50000 \$,	განაკვეთი – 15%,
50001-75000 \$,	განაკვეთი – 25%;
75001-100000\$,	განაკვეთი – 34%;
100001-335000 \$,	განაკვეთი – 39%;
335001 \$-ზე მეტი,	განაკვეთი – 34%.

საკონტროლო კითხვები

1. დაახასიათეთ გადასახადების ძირითადი ელემენტები.
2. მოახდინეთ გადასახადების კლასიფიკაცია ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით.
3. დაახასიათეთ დაბეგვრის მეთოდები.
4. დაახასიათეთ პირდაპირი გადასახადები.
5. დაახასიათეთ არაპირდაპირი გადასახადები.
6. დაახასიათეთ დაბეგვრის წესები.

საკონტროლო ტესტები

1. განაკვეთის სახის მიხედვით გადასახადები არის:
 - ა) პროპორციული, მტკიცე, პროცენტული;
 - ბ) პროგრესიული, რეგრესიული, თანაბარი;
 - გ) მტკიცე, პროცენტული, არაპირდაპირი;
 - დ) მტკიცე, პროცენტული;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.
2. საქართველოში პირდაპირი გადასახადებია:
 - ა) ქონების, მიწის, იმპორტის გადასახადები;
 - ბ) საშემოსავლო, ქონების, მოგების გადასახადები;
 - გ) მიწის, მოგების, რეგრესიული გადასახადები;
 - დ) პროპორციული, რეგრესიული, პროგრესიული გადასახადები.
3. საქართველოში არაპირდაპირი გადასახადებია:
 - ა) დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადები;
 - ბ) დღგ, აქციზი, საშემოსავლო გადასახადები;
 - გ) რეალური, ინდივიდუალური, კადასტრული გადასახადები;
 - დ) ქონების, დღგ, იმპორტის გადასახადები.
4. რეალური გადასახადები ითვალისწინებენ:
 - ა) გადამხდელის გადახდისუნარიანობას;
 - ბ) გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას;
 - გ) დასაბეგრი ობიექტისაგან მისაღებ სავარაუდო შემოსავალს;
 - დ) დასაბეგრი ობიექტისაგან ფაქტობრივად მიღებულ შემოსავალს.

5. **პირადი გადასახადები ითვალისწინებენ:**
 - ა) გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას;
 - ბ) გადამხდელის გადახდისუნარიანობას;
 - გ) დასაბეგრი ობიექტისაგან მისაღებ სავარაუდო შემოსავალს;
 - დ) გადამხდელის სოციალურ მდგომარეობას.

6. **საქართველოში საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:**
 - ა) საშემოსავლო, აქციზი, ქონების გადასახადები;
 - ბ) დღგ, აქციზი, საშემოსავლო, მოგების, იმპორტის გადასახადები;
 - გ) დღგ, აქციზი, ქონების, იმპორტის გადასახადები;
 - დ) რეალური და პირადი გადასახადები.

7. **საქართველოში ადგილობრივი გადასახადებია:**
 - ა) ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადები;
 - ბ) მიწის, ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადები;
 - გ) ქონების და მოგების გადასახადები;
 - დ) ქონების გადასახადი;

8. **დაბეგრის წესის მიხედვით გადასახადები არის:**
 - ა) ადმინისტრაციული და დეკლარაციული;
 - ბ) დეკლარაციული და კადასტრული;
 - გ) ადმინისტრაციული, დეკლარაციული და კადასტრული;
 - დ) ადმინისტრაციული და კადასტრული.

9. **გადასახადის ელემენტებია:**
 - ა) გადასახადის სუბიექტი, ობიექტი, სარგო, შეღავათი;
 - ბ) გადასახადის სუბიექტი, ობიექტი, ეფექტიანობა;
 - გ) გადასახადის სუბიექტი, ობიექტი, სამართლიანობა;
 - დ) გადასახადის განაკვეთი, ეფექტიანობა, სამართლიანობა;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.

10. **დაბეგრის მეთოდის მიხედვით გადასახადები არის:**
 - ა) პროპორციული, პირდაპირი, პროგრესული;
 - ბ) თანაბარი, პროპორციული, პროგრესული, რეგრესული;
 - გ) პროგრესული, რეგრესული, პროპორციული;
 - დ) პირდაპირი, არაპირდაპირი, პროპორციული, პროგრესული.

საგადასახადო
პოლიტიკა
და
საგადასახადო
სისტემის მართვა

„საკითხი გადასახადების შესახებ არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლითაც უნდა იყოს დაკავებული პოლიტიკა; გადასახადები მუდმივად ხდება ხელმწიფესა და ქვეშეუდომებს შორის განხეთქილების მიზეზი“

პოლ ანრი ჰოლბახი



„არაფერი არ საჭიროებს იმდენ სიბრძნესა და ჭკუას, როგორც განსაზღვრა იმ ნაწილისა რასაც ართმევენ ქვეშეუდომებს და რასაც უტოვებენ მათ“

შარლ ლუი მონტესკიე



„დაბეგვრა ნებისმიერი ფორმით მხოლოდ ერთერთი ბოროტების არჩევაა“

დავიდ რიკარდო



„მთავობა, კანონების მიღებისა და გადასახადების დაწესების დროს, გავს ექიმს, რომელმაც მკურნალობისას უნდა აირჩიოს ნაკლები ბოროტება“

იერემია ბენტამი

3.1

საგადასახადო
პოლიტიკა

„პოლიტიკა არის ახალი გადასახადებისათვის
საფუძვლების მუდმივი მოძიების ხელოვნება“

ჰაროლდ ნარი



„დაბეგვრა არის ბატის გაბღღვნის ისეთი ხელოვნება,
რომ მივიღოთ ბუმბულის მაქსიმუმი, მინიმუმი
წივილით“

ჟან ბატისტ კოლბერი

სურათი 3.1

ცნება

საგადასახადო პოლიტიკა

დაბეგვრასთან (გადასახადების დარიცხვასა და ამო-
ღებასთან) დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გატა-
რებული ღონისძიებების ერთობლიობა

„დღევანდელი ლიბერალი მისწრაფვის გადაარჩინოს
ღარიბები გადასახადებისაგან, რომლებიც მის შვილებში
რომ ჩადებულიყო, შეძლებდნენ მომდევნო თაობაში
მოესპოთ სიღარიბე“

ზიგმუნდ ფროიდი

სურათი 3.2



„ეკონომისტები თვლიან, რომ სახელმწიფო შემოსავლები შეიძლება განუსაზღვრელი იყოს. მაგრამ ასეთი ზღვრები არსებობს: ზღვარი, რომლის ზემოთ გადასახადების ზრდა არასასურველია; ზღვარი, რომლის ზემოთ გადასახადების ზრდა საშიშია; და ბოლოს, ზღვარი, რომლის ზემოთ მივდივართ კატასტროფამდე. ყველა ეს ზღვრები ნათლადაა განსაზღვრული ეკონომიკური თეორიით და ისტორიული პრაქტიკით“

სირილ პარკინსონი

**მაქსიმალური
გადასახადები**
(ამოვიღოთ ყველაფერი
რაც შეიძლება)

**გონივრული
გადასახადები**

საგადასახადო პოლიტიკის ტიპები

ეტატიზმი
(სახელმწიფოს ინტერესების
პრიორიტეტი; სუბიექტის
ვალდებულებების პრიორიტე-
ტი მისი უფლებების მიმართ;
სახელმწიფოს საგადასახადო
თვითნებობა)

მაღალი გადასახადები
მნიშვნელოვანი სოციალ-
ური დაცვის პირობებში

„პარლამენტარები, რომლებიც აკეთებენ არჩევანს
ორ გადასახადს შორის, გვანან ქალს, რომელსაც
ვერ გადაუწყვეტია ორი კაბიდან რომელი იყიდოს.
ჩვეულებრივ ის ორივეს ყიდულობს“

ლორენს პიტერი



„იდეალური პოლიტიკოსი ხმას აძლევს ყველა ასიგნებას და წინააღმდეგია ყველა გადასახადის“

უცნობი ავტორი



„პარლამენტარების წინაშე მდგარი ყველაზე მძიმე ამოცანაა - როგორ ამოიღოს გადასახადები გადამხდელებისაგან ამომრჩევლების შეუწყუხებლად“

უცნობი ავტორი

სურათი 3.5

საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები

საგადასახადო კანონმდებლობა (საკანონმდებლო
და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები)

საგადასახადო აპარატი

სახელმწიფოს ღონისძიებები

სურათი 3.6

საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტები

საგადასახადო
განაკვეთი


საგადასახადო
ბაზა

საგადასახადო
შელავათები და
პრეფერენციები


3.2

დაბეგვრის
პრინციპები

სურათი 3.7



სურათი 3.8



დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპი

სამართლიანობა სარგებლიანობის პრინციპით

ისეთი გადასახადებია სამართლიანი, რომლებიც ემყარება გადამხდელის მიერ სახელმწიფოს მხრიდან მიღებულ სარგებლის ოდენობას (გადამხდელები, რომლებიც უფრო მეტ სარგებელს იღებენ სახელმწიფოს მომსახურებისაგან, უნდა იხდიდნენ უფრო მეტ გადასახადს)

სამართლიანობა გადახდისუნარიანობის პრინციპით

ისეთი გადასახადებია სამართლიანი, რომლებიც ემყარება გადამხდელის უნარს გაუძღონ გადასახადის სიმძიმეს (გადამხდელები, რომლებსაც მეტი შესაძლებლობები აქვთ, უნდა იხდიდნენ უფრო მეტ გადასახადს)

„სახელმწიფოს კეთილდღეობას განსაზღვრავს არა ის თანხები, რომელთაც სახელმწიფო კრებს მოქალაქეებისაგან სხვადასხვა გადასახადებისა და მოსაკრებლების სახით, არამედ ის თანხები, რომელთაც სახელმწიფო უტოვებს მოქალაქეებს“


ლორანდ ეტგემი



„კარგი მწყემსი კრეჭს ცხვარს, მაგრამ არ ატყავებს მას“

ტიბერიუსი

სურათი 3.10



სურათი 3.11


ვერტიკალური სამართლიანობა

ვერტიკალური სამართლიანობის მიხედვით, მეტი გადახდის შესაძლებლობის მქონე გადამხდელები (მდიდრები) უნდა იხდიდნენ უფრო მეტ გადასახადებს ვიდრე ღარიბები

მექანიზმი – დაბეგვრის პროპორციული, პროგრესული, რეგრესული მეთოდები

სურათი 3.16

ლორენცის მრუდი



სურათი 3.12

ჰორიზონტალური სამართლიანობა

ჰორიზონტალური სამართლიანობის მიხედვით გადამხდელები, რომლებსაც მსგავსი გადახდისუნარიანობა ახასიათებთ, უნდა იხდიდნენ ერთნაირ გადასახადებს

მექნიზმი – დაბეგვრისას გადამხდელის არა მარტო შემოსავლების ოდენობის, არამედ აგრეთვე მისი განსაკუთრებული გარემოებების (აუცილებელი გადაუდებელი ხარჯების) გათვალისწინება

„არ შეიძლება შიშველის გახდა“

ტიტუს მაქციუს პლავტუსი



„მეფე, რომელიც ქვეშევრდომებიდან იღებს უსამართლო გადასახადებს, შეიძლება დარჩეს ან გადასახადების ან ქვეშევრდომების გარეშე“

დენი დიდრო



„რა აღიზიანებს ადამიანებს ყველაზე მეტად - ის, რომ ისინი იხდიან უფრო მეტ გადასახადებს, ვიდრე მათი მეზობლები“

უილიამ პეტი

სურათი 3.13

დაბეგვრის განსაზღვრულობისა და მოხერხებულობის პრინციპი

გადასახადის ოდენობა, გადახდის წესი (მეთოდი) და ვადა გადამხდელისათვის ზუსტად და დროულად უნდა იყოს ცნობილი

გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს იმ დროსა და იმ მეთოდით, რომელიც მაქსიმალურად მოხერხებულია გადამხდელისათვის

„გადასახადი ამოღებული უნდა იქნეს მარტივი და მოქალაქისათვის გასაგები წესით, და უნდა დაიბეგროს მხოლოდ მნიშვნელოვანი სიმდიდრე. გართულებული ამოღება წარმოადგენს უნაყოფო შეზღუდვას, ის მხოლოდ ზრდის გადასახადის სიმძიმეს და არ ამღვეს მთავრობას არავითარ უპირატესობას“

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი

სურათი 3.14

დაბეგვრის ეფექტიანობის პრინციპი

გადასახადების ამოღების ხარჯები უფრო მცირე უნდა იყოს ვიდრე ამ გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები

„დაბეგვრის მთავარი პრინციპია - ამოღების სიიფე მინიმალური საგადასახადო დატვირთვისას“

ადოლფ ვაგნერი

სურათი 3.15

დაბეგვრის დაბალანსებულობის

(გადასახადის გადამხდელისა და სახელმწიფოს ინტერესების ეკონომიკური დაბალანსებულობის) პრინციპი

დაბეგვრამ უნდა უზრუნველყოს საბიუჯეტო შემოსავლების სათანადო დონე გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე

„გადასახადების საქმეში გასათვალისწინებელია არა ის, თუ რისი მოცემა შეუძლია ხალხს, არამედ ის, თუ რისი მოცემა შეუძლია მას ყოველთვის“

შარლ ლუი მონტესკიე




„დიდი უბედურება არ არის, თუ ზოგიერთი მოქალაქე იხდის უფრო ნაკლებს, ვიდრე უნდა გადაიხადოს - მისი კეთილდღეობა ყოველთვის მიიმართება საზოგადოების სასარგებლოდ. მაგრამ, თუ ზოგიერთი პირი იხდის ძალიან ბევრს, მისი გალატაკება საზოგადოებისათვის საზიანოა“

შარლ ლუი მონტესკიე

სურათი 3.16

ლაფერის მრუდი



8. როგორია აქციზის განაკვეთები საქართველოში?
9. როგორია დღგ-ის დეკლარირებისა და გადახდის წესი?
10. დაახასიათეთ იმპორტის გადასახადის ძირითადი ელემენტები.
11. რას ნიშნავს სატარიფო ღირებულება და როგორია მისი შეფასების წესი?
12. როგორია იმპორტის გადასახადის განაკვეთები და შეღავათების სისტემა საქართველოში?

საკონტროლო ტესტები

1. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელია:
 - ა) დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი;
 - ბ) დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების მქონე პირი;
 - გ) საქონლის იმპორტიორი;
 - დ) პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის დროებით შემოტანას საქართველოში;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.
2. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:
 - ა) საქონლის წარმოება;
 - ბ) საქონლის რეალიზაცია;
 - გ) საქონლის შენახვა;
 - დ) საქონლის მიწოდება;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.
3. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთია:
 - ა) 5%;
 - ბ) 10%;
 - გ) 15%;
 - დ) 18%;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.

4. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა წარმოებს:
 - ა) საქონლის მიწოდებამდე 2 დღით ადრე;
 - ბ) საქონლის მიწოდების თვის ბოლომდე;
 - გ) საგადასახადო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
 - დ) საქონლის სანყოფიდან გატანამდე.

5. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია
 - ა) სურსათის მიწოდება;
 - ბ) საქონლის იმპორტი;
 - გ) საქონლის ექსპორტი;
 - დ) საქონლის ტრანზიტი;
 - ე) პირველადი მოხმარების საქონლის მიწოდება.

6. საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულია
 - ა) საქონლის ექსპორტი;
 - ბ) საქონლის იმპორტი;
 - გ) საქონლის ტრანზიტი;
 - დ) ფინანსური მომსახურება;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.

7. საქართველოში აქციზის გადახდის ვალდებულება ეკისრება
 - ა) აქციზური საქონლის მწარმოებელს;
 - ბ) აქციზური საქონლის გამყიდველს;
 - გ) აქციზური საქონლის მყიდველს;
 - დ) აქციზური საქონლის მომხმარებელს;
 - ე) საქონლის ექსპორტიორს.

8. საქართველოში აქციზით დაბეგვრის ობიექტია
 - ა) აქციზური საქონლის გადაცემა დამკვეთისათვის;
 - ბ) აქციზური საქონლის იმპორტი;
 - გ) აქციზური საქონლის ექსპორტი;
 - დ) აქციზური საქონლის გატანა სანყოფიდან;
 - ე) აქციზური საქონლის მიწოდება;
 - ვ) ყველა პასუხი სწორია.

9. საქართველოში აქციზის განაკვეთებია
 - ა) პროპორციული საქონლის მოცულობაზე;
 - ბ) ფიქსირებული საქონლის ერთეულზე;
 - გ) პროცენტული საქონლის ერთეულზე;
 - დ) პროგრესული საქონლის მოცულობაზე;

10. საქართველოში აქციზისაგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია
 - ა) აქციზური სურსათის მიწოდება;
 - ბ) აქციზური საქონლის იმპორტი;
 - გ) აქციზური საქონლის ექსპორტი;

- დ) აქციზური საქონლის ტრანზიტი;
- ე) პირველადი მოხმარების აქციზური საქონლის მიწოდება.

11. საქართველოში აქციზის გადახდა წარმოებს

- ა) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე 2 დღით ადრე;
- ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის ბოლომდე;
- გ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების საგადასახადო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
- დ) აქციზური საქონლის საწყობიდან გატანამდე.

12. საქართველოში აქციზისაგან ჩათვისის უფლების გარეშე განთავისუფლებულია

- ა) მსუბუქი ავტომობილების იმპორტი;
- ბ) აქციზური საქონლის ექსპორტი;
- გ) აქციზური საქონლის იმპორტი;
- დ) აქციზური საქონლის ტრანზიტი;
- ე) ალკოჰოლური საქონლის წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის;
- ვ) ყველა პასუხი სწორია.

13. საქართველოში იმპორტის გადასახადის გადამხდლებია

- ა) პირი, რომელიც ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებს საქონელს;
- ბ) საქონლის მწარმოებელი;
- გ) საქონლის იმპორტიორი;
- დ) ფიზიკური და იურიდიული პირი;
- ე) მომხმარებელი;
- ვ) ყველა პასუხი სწორია.

14. საქართველოში იმპორტის გადასახადის ობიექტია

- ა) საქონლის იმპორტი;
- ბ) საქონლის ექსპორტი;
- გ) საქონლის ტრანზიტი;
- დ) საქონლის დროებითი შემოტანა;
- ე) საქონლის სატარიფო ღირებულება;
- ვ) საქონლის საბაზრო ღირებულება.

15. საქართველოში იმპორტის გადასახადის განაკვეთებია


- ა) 0%; 15%; ფიქსირებული საქონლის ერთეულზე;
- ბ) 5% და 12%;
- გ) 5%; 12%; ფიქსირებული საქონლის ერთეულზე;
- დ) 0%; 5%; 12%; 15%; ფიქსირებული საქონლის ერთეულზე;
- ე) პროპორციული.

16. საქართველოში იმპორტის გადასახადისაგან განთავისუფლებულია

- ა) საქონლის დროებითი შემოტანა;
- ბ) საქონლის იმპორტი;
- გ) საქონლის ექსპორტი;
- დ) საქონლის მიწოდება.

ადგილობრივი გადასახადები

ქონების
გადასახადი



სურათი 7.1


ცნობა

ქონების გადასახადი

კანონით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტით შემოღებული ადგილობრივი პირდაპირი გადასახადი, რომლითაც იბეგრება ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში, სარგებლობაში) არსებული ქონება.

სურათი 7.2

ქონების გადასახადის გადამხდელები (სუბიექტი)




სურათი 7.3

ქონების გადასახადის ობიექტი


ქონების გადასახადის ობიექტია სხვადასხვა სახის ქონებაზე (მიწა, სხვა უძრავი ქონება, ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, სატრანსპორტო საშუალებები) საკუთრების უფლება.

ქონების გადასახადის დასაბეგრი ბაზა

ქონების გადასახადის დასაბეგრი ბაზა განისაზღვრება



სურათი 7.5




ქონების გადასახადის განაკვეთები


სანარმოსთვის ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს **1 პროცენტის ოდენობით**.

100 000 ლარამდე წლიური საოჯახო შემოსავლის მქონე **ფიზიკური პირისათვის** ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ **0.05 %** და არა უმეტეს **0.2 %** ოდენობით.


100 000 ლარი და მეტი წლიური საოჯახო შემოსავლის მქონე **ფიზიკური პირისათვის** ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ **0.8 %** და არა უმეტეს **1.0 %** ოდენობით.

სურათი 7.7





სურათი 7.9



საგადასახადო შეღავათები (გაგრძელება)

ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებულია

გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო, აგრეთვე სტიქიით დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და ნასოფლარის ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები ამ ტერიტორიაზე დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე

საგადასახადო შეღავათები (გაგრძელება)

ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებულია

მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებნი აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე

სასოფლო-სამეურნეო და ნიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზე მონეული მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება

ბიოლოგიური აქტივი

საქართველოს რეზიდენტისგან ლიზინგით მიღებული ქონება

სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებათა საკუთრებაში არსებული ქონება

ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მიწები

60 წლის და მეტი ასაკის, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მოვლის დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღებისათვის გამოყენებული მიწები

საკონტროლო კითხვები

1. ადგილობრივი გადასახადების სისტემა საქართველოში.
2. დაახასიათეთ ქონების გადასახადის ძირითადი ელემენტები.
3. როგორია უძრავი ქონების (გარდა მიწისა) დაბეგვრის განაკვეთები და წესი საქართველოში?
4. როგორია მიწის დაბეგვრის განაკვეთები და წესი საქართველოში?
5. გარდა უძრავი ქონებისა ქონების რომელი სახეები იბეგრება საქართველოში და როგორი წესით?
6. როგორია შეღავათების სისტემა ქონების გადასახადის მიმართ საქართველოში?
7. როგორია ქონების გადასახადის დეკლარირებისა და გადახდის წესი საქართველოში?

საკონტროლო ტესტები

1. საქართველოში ქონების გადასახადის გადამხდელია
 - ა) პირი, რომელსაც საკუთრებაში აქვს დაბეგვრის ობიექტი;
 - ბ) პირი, რომელსაც სარგებლობაში ან მფლობელობაში აქვს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა;
 - გ) პირი, რომელსაც სარგებლობაში ან მფლობელობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში არსებული დაბეგვრის ობიექტი;
 - დ) პირი, რომელსაც ლიზინგით სარგებლობაში აქვს დაბეგვრის ობიექტი;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.
2. საქართველოში ქონების გადასახადის ობიექტია
 - ა) საწარმოს მიერ შეძენილი ქონება;
 - ბ) ფიზიკური პირისა და საწარმოს მიერ შეძენილი ქონება;
 - გ) ბალანსზე არსებული ქონება, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების გარდა;
 - დ) ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება;
 - ე) საწარმოსა და ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ქონება.
3. საქართველოში უძრავ ქონებაზე ქონების გადასახადის განაკვეთი
 - ა) არანაკლებ 0,05%;
 - ბ) არანაკლებ 0,8%;
 - გ) არანაკლებ 1,0%;
 - დ) არაუმეტეს 0,8%;
 - ე) არაუმეტეს 0,05%.
4. საქართველოში მიწაზე ქონების გადასახადის კონკრეტული განაკვეთი დამოკიდებულია
 - ა) მიწის მფლობელის ეკონომიკური საქმიანობის სახეზე;
 - ბ) მიწის ფართობზე;
 - გ) მიწის ადგილმდებარეობაზე და ხარისხზე;
 - დ) შესაბამისი რეგიონის კლიმატურ პირობებზე.

5. საქართველოში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთია
 - ა) 0,12 ლარი; დ) 1,0%;
 - ბ) 0,24%; ე) დიფერენცირებულია მიწის ხარისხის მიხედვით.
 - გ) 0,24 ლარი;

6. საქართველოში ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია
 - ა) მიწა;
 - ბ) უძრავი ქონება, მიწის გარდა;
 - გ) სატრანსპორტო საშუალებები, მსუბუქი ავტომობილების გარდა;
 - დ) ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.

7. საქართველოში ფიზიკური პირის უძრავი ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის ბაზას წარმოადგენს
 - ა) უძრავი ქონების ფართობი;
 - ბ) უძრავი ქონების ფაქტობრივი საინვენტარიზაციო ღირებულება;
 - გ) უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება;
 - დ) უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება.

8. საქართველოში ქონების გადასახადის გაანგარიშებას ახდენს
 - ა) გადასახადის გადამხდელი;
 - ბ) საგადასახადო ორგანო;
 - გ) ადგილობრივითვითმმართველობის საფინანსო ორგანო;
 - დ) საჯარო რეესტრის სამსახური

9. საქართველოში ქონების გადასახადიდან განთავისუფლებულია
 - ა) მენარმე ფიზიკური პირები;
 - ბ) ფიზიკური და იურიდიული პირები;
 - გ) ფიზიკური პირები, რომელთა ოჯახის წლიური შემოსავლები არ აღემატება 40000 ლარს;
 - დ) ფიზიკური პირები, რომელთა ოჯახის წლიური შემოსავლები არ აღემატება 60000 ლარს;
 - ე) ფიზიკური პირები, რომელთა ოჯახის წლიური შემოსავლები არ აღემატება 100000 ლარს;
 - ვ) არარეზიდენტი იურიდიული პირები.

10. საქართველოში ფიზიკური პირის ქონების გადასახადის გადახდის ვადაა
 - ა) 1 აპრილამდე; დ) 15 ოქტომბრამდე;
 - ბ) 1 მაისამდე; ე) 15 ნოემბრამდე.
 - გ) 15 ივნისამდე;

11. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი შეიძლება იყოს საბაზისო განაკვეთის
 - ა) არანაკლებ 50%;
 - ბ) არანაკლებ 100%;
 - გ) არაუმეტეს 150%;
 - დ) არანაკლებ 50 და არაუმეტეს 150%;
 - ე) 0-დან 150%-მდე;
 - ვ) არანაკლებ 70 და არაუმეტეს 150%;
 - ზ) თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ამ ნაწილში შეზღუდული არ არის.

მოსაკრებლები

სურათი 8.1

მოსაკრებელი

ცნება

სახელმწიფოს ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ განეული მომსახურების ან მინიჭებული უფლების ფასი.



სურათი 8.2

კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ

კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ შედგება მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ კანონისა და მის შესაბამისად მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან


მოსაკრებლების თაობაზე კანონების დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობისას, გამოიყენება მოსაკრებლების შესახებ კანონები

აკრძალულია მოსაკრებლებთან დაკავშირებული საკითხების მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობის გარდა სხვა კანონმდებლობით მოწესრიგება



სურათი 8.5

საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლები




სურათი 8.6


ადგილობრივი მოსაკრებლები




სურათი 8.7




სურათი 8.8



სურათი 8.9



სურათი 8.10



საკონტროლო კითხვები


1. დაახასიათეთ მოსაკრებლების დანესებისა და შემოღების წესი საქართველოში.
2. დაახასიათეთ საქართველოს კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ.
3. დაახასიათეთ საქართველოში მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლები.
4. დაახასიათეთ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი მოსაკრებლები.
5. მოსაკრებლების განაკვეთები და შეღავათების სისტემა.

საკონტროლო ტესტები

1. საქართველოში მოსაკრებელი არის:
 - ა) არაექვივალენტური, სასყიდლიანი შენატანი ბიუჯეტში;
 - ბ) სავალდებულო უსასყიდლო შენატანი სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში;
 - გ) სახელმწიფოს ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ განეული მომსახურების ან მინიჭებული უფლების ფასი;
 - დ) სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.
2. საქართველოში საერთო-სახელმწიფოებრივ მოსაკრებლებს არ განეკუთვნება:
 - ა) საკონსულო მოსაკრებელი;
 - ბ) სარეგისტრაციო მოსაკრებელი;
 - გ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;
 - დ) სახელმწიფო ბაჟი.
3. საქართველოში ადგილობრივ მოსაკრებლებს არ განეკუთვნება:
 - ა) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი;
 - ბ) სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები;
 - გ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;
 - დ) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი.
4. საქართველოში მოსაკრებლების დანესება ხდება:
 - ა) პრეზიდენტის ბრძანებულებით;
 - ბ) კანონით;
 - გ) მთავრობის დადგენილებით;
 - დ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს ნორმატიული აქტით.

5. საქართველოში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება ხდება:
- ა) მთავრობის დადგენილებით;
 - ბ) პრეზიდენტის ბრძანებულებით;
 - გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგებლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით;
 - დ) კანონით.
6. მოსაკრებლების თაობაზე კანონების დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობისას, გამოიყენება:
- ა) ბოლოს მიღებული კანონი;
 - ბ) იერარქიით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი კანონი;
 - გ) მოსაკრებლების შესახებ კანონი;
 - დ) პარლამენტის განმარტებით განსაზღვრული კანონი.
7. საქართველოში მოსაკრებლების განაკვეთის განსაზღვრისას გაითვალისწინება:
- ა) უფლების მადიებლის მიერ უფლების რეალიზაციიდან მისაღები მოსალოდნელი მოგება;
 - ბ) უფლების რეალიზაციიდან სახელმწიფოს მიერ მისაღები მოსალოდნელი ზარალი;
 - გ) სახელმწიფოს ან ადგილობრივი ორგანოების დანახარჯები უფლების მინიჭებაზე ან მომსახურების განწევაზე;
 - დ) უფლების რეალიზაციიდან გარემოზე მიყენებული ეკოლოგიური ზიანი.
8. საქართველოში მოსაკრებლების ობიექტს არ წარმოადგენს:
- ა) სარგებლობის უფლება;
 - ბ) განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება;
 - გ) საქონლის მიწოდება;
 - დ) მომსახურების განწევა.

საქონლის
გადაადგილება
საქართველოს
ეკონომიკურ
საზღვარზე



9.1

ზოგადი
დებულებები

სურათი 9.1

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა (საგადასახადო კოდექსის მიხედვით)

საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო (იმპორტის გადასახადი) და არასატარიფო ღონისძიებები (ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა.შ.)

სურათი 9.2

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა (რეკომენდებული ვარიანტი)

ცნება

ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესაბამისად საგარეო ვაჭრობის რეგულირების მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობა.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სახეები


პროტექციონისტული პოლიტიკა

ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქვეყნის შიდა ბაზრის უცხოური კონკურენციისაგან დაცვისაკენ მიმართული პოლიტიკა – ხორციელდება მაღალი საიმპორტო გადასახდელების, იმპორტის შეზღუდვებისა და აკრძალვების, ექსპორტის სუბსიდირებისა და სხვა ღონისძიებების გამოყენებით

თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა

ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური საქონლის იმპორტის ხელშეწყობისაკენ მიმართული პოლიტიკა – ხორციელდება მინიმალური საიმპორტო გადასახდელების (ზოგჯერ მათი საერთოდ გაუქმებით) გამოყენებით

სურათი 9.4



სურათი 9.5

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებები

იმპორტის გადასახადი (იხ. გვერდი ----)

სატარიფო შეღავათები – იმპორტის გადასახდელების გადახდისას ცალმხრივად ან ნაცვალგების პრინციპის გამოყენებით მინიჭებული უპირატესობა, რომელიც ხორციელდება გადასახადებისაგან განთავისუფლებით ან საგადასახადო განაკვეთების შემცირებით

სატარიფო პრეფერენციები – ცალკეული ქვეყნის ყველა ან ზოგიერთი საქონლისათვის იმპორტის გადასახადის გამოყენებისას მინიჭებული უპირატესობა, რომლებიც არ ვრცელდება სხვა ქვეყნის ანალოგიურ საქონელზე

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის არასატარიფო ღონისძიებები

ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან საქონლის გატანის **აკრძალვა** შეიძლება შემოღებული იქნეს ქვეყნის უსაფრთხოების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მიზნით

ქვოტირება – გარკვეული საქონლის განსაზღვრული ვადით ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის რაოდენობრივი ან ღირებულებითი შეზღუდვა

ლიცენზირება – ზოგიერთი საქონლის ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანის, ამ ტერიტორიიდან გატანის ან ტერიტორიაზე ტრანზიტის ნებართვა

ბლოკადა – ზოგიერთი ქვეყნის საქონლის საბაჟო გაფორმების, იმპორტის და სხვა პროცედურების შეწყვეტა (შეჩერება) გარკვეული დროით

ემბარგო – ზოგიერთი ქვეყნიდან საქონლის შემოტანის ან ამ ქვეყანაში გატანის აკრძალვა, როგორც მასზე ეკონომიკური და ფინანსური ზეწოლის ფორმა

სურათი 9.7

ეკონომიკური
ტერიტორია

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისაგან, ტერიტორიული და შიდა წყლებისაგან და მათი საჰაერო სივრცისაგან. საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია აგრეთვე მოიცავს განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებული დანადგარების, ნაგებობებისა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

საქართველოს ეკონომიკური საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.


სურათი 9.8

გადაადგილება საქართველოს
ეკონომიკურ საზღვარზე


ცნება

საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებად ითვლება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შემოტანა საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე ან გატანა ამ ტერიტორიიდან

სურათი 9.9



სურათი 9.10



სურათი 9.11

საქონლის სატარიფო ღირებულება

საქონლის სატარიფო ღირებულება მოიცავს საქონლის გარიგების ფასს, საქონლის მწარმოებლიდან საქართველოს ეკონომიკურ საზღვრამდე მოტანის პროცესში განუღებ ყველა ხარჯს (ტრანსპორტირება, გადატვირთვა, გადმოტვირთვა, შენახვა, დაზღვევა და ა.შ.)

საქონლის სატარიფო ღირებულების განსაზღვრა ნიშნავს საქონლის დეკლარირების დღისათვის მის შეფასებას.

საქონლის სატარიფო ღირებულება განისაზღვრება შემდეგი მეთოდებით:

- ა) გარიგების ფასის მიხედვით (პირველი მეთოდი);
- ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მეორე მეთოდი);
- გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მესამე მეთოდი);
- დ) საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მეოთხე მეთოდი);
- ე) შედგენილი ღირებულების მიხედვით (მეხუთე მეთოდი);
- ვ) სარეზერვო მეთოდით (მეექვსე მეთოდი).

9.2

სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი. სასაქონლო ოპერაციები

სურათი 9.12

საქონლის დეკლარირება

სასაქონლო დეკლარაცია წარმოადგენს განსაზღვრული ფორმის დოკუმენტს, რომლითაც დეკლარანტი აცხადებს საქონლის მიმართ დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას და შესაბამის სახელმწიფო სამსახურს აწვდის საქონლის გაფორმებისათვის საჭირო ინფორმაციას იმ საქონელზე რომელმაც უნდა გადაკვეთოს ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი

სურათი 9.13

სახელმწიფო კონტროლი

- საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი
- სახელმწიფო კონტროლის ფორმებია:
 - ა) დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმება;
 - ბ) ზეპირი გამოკითხვა;
 - გ) ახსნა-განმარტების მიღება;
 - დ) დაკვირვება (ვიდეო- და აუდიოჩანერა);
 - ე) საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და ტერიტორიის დათვალიერება;
 - ვ) ლაბორატორიული კვლევის მიზნით სინჯისა და ნიმუშის აღება;
 - ზ) ფიზიკური პირის დათვალიერება;
 - თ) საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება.

სახელმწიფო ზედამხედველობა

- საქონლის მიმართ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების დაცვის მიზნით სპეციალური სამსახურების მიერ ხორციელდება სახელმწიფო ზედამხედველობა
- ქვეყანაში შემოსატანი საქონელი სახელმწიფო ზედამხედველობას ექვემდებარება ექვემდებარება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანიდან გაფორმების დასრულებამდე
- ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიიდან გასატანი საქონელი სახელმწიფო ზედამხედველობას ექვემდებარება გაფორმებიდან საქონლის გატანამდე

სასაქონლო ოპერაციები

საქართველოში საქონლის გაფორმებისას გამოიყენება შემდეგი სასაქონლო ოპერაციები




სურათი 9.16

სასაქონლო ოპერაციები (გაგრძელება)

იმპორტისას საქონელი შემოიტანება საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე და მას ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი, გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები და გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები


ექსპორტისას სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გარეთ. ექსპორტისას ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები

ტრანზიტისას სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ გადაადგილდეს საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გავლით სატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე



სურათი 9.18

სასაქონლო ოპერაციები (გაგრძელება)



შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება

უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები და არ ხორციელდება სატარიფო ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გატანისას არ გადაიხდებიან ექსპორტის გადასახდელები; იმპორტში გაშვებისას კი – გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები და ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის სხვა ღონისძიებები

იმპორტში გაშვებული საქონლის მიმართ, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, და მისგან მიღებული გადამუშავებული საქონელი გაიტანება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან

სურათი 9.20

სასაქონლო ოპერაციები
(გაგრძელება)

გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება საქართველოს საქონლის მიმართ, რომლის დროებით გატანისას გადაიხდებიან ექსპორტის გადასახდელები და ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის სხვა ღონისძიებები, ასევე ხორციელდება ის პროცედურები, რომლებიც გათვალისწინებულია ექსპორტისას, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავებული საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდებიან კუთვნილი იმპორტის გადასახდელები

საკონტროლო კითხვები

1. რას ნიშნავს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და როგორია მისი სახეები?
2. დაახასიათეთ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებები.
3. დაახასიათეთ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის არასატარიფო ღონისძიებები.
4. დაახასიათეთ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილების პრინციპები.
5. რას ნიშნავს საქონლის სტატუსი?
6. როგორია საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სახელმწიფო კონტროლის ფორმები და სახელმწიფო ზედამხედველობა?
7. დაახასიათეთ ძირითადი სასაქონლო ოპერაციები.

საკონტროლო ტესტები

1. **საბაჟო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებებია:**
 - ა) ქვოტირება;
 - ბ) ემბარგო;
 - გ) ლიცენზირება;
 - დ) იმპორტის გადასახადი.
2. **საბაჟო პოლიტიკის არასატარიფო ღონისძიებებია:**
 - ა) პრეფერენციები;
 - ბ) ლიცენზირება;
 - გ) იმპორტის გადასახადი;
 - დ) შეღავათები.
3. **ქვეყნის ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილების პრინციპებს არ განეკუთვნება:**
 - ა) სასაქონლო ოპერაციის არჩევის უფლება;
 - ბ) საქონლის შენახვის უზრუნველყოფა;
 - გ) ზოგიერთი საქონლის შემოტანისა და გატანის შეზღუდვა ან აკრძალვა;
 - დ) საქონლის შემოტანისა და გატანის განსხვავებული პირობები ცალკეული პირებისათვის.
4. **საქართველოს საქონელს არ განეკუთვნება:**
 - ა) უცხო ქვეყნიდან შემოტანილი და იმპორტში მოქცეული საქონელი;
 - ბ) საქართველოს საქონლისაგან წარმოებული და მიღებული საქონელი;
 - გ) თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი;
 - დ) შემოსავლების სამსახურის მიერ განკარგული საქონელი.

- 5. საქონლის გაფორმებისას გამოიყენება სასაქონლო ოპერაციები:**
- ა) იმპორტი, ექსპორტი, გარე გადამუშავება, თავისუფალი სანყობი;
 - ბ) ტრანზიტი, რეექსპორტი, შიდა გადამუშავება, მიწოდება, იმპორტი;
 - გ) დროებითი შემოტანა, დროებითი გატანა, თავისუფალი სანყობი, ლიცენზირება;
 - დ) ემბარგო, ექსპორტი, რეექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი.
- 6. იმპორტის სასაქონლო ოპერაციის დროს:**
- ა) გამოიყენება სატარიფო ღონისძიებები;
 - ბ) გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები;
 - გ) გამოიყენება სატარიფო პრეფერენციები;
 - დ) გამოიყენება სატარიფო შეღავათები;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.
- 7. ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის დროს:**
- ა) გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები;
 - ბ) ექსპორტიორი იყენებს პრეფერენციებს;
 - გ) გადაიხდებიან დღგ და აქციზი;
 - დ) ექსპორტიორს ევალება სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა;
 - ე) ყველა პასუხი სწორია.
- 8. ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის დროს:**
- ა) საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გაიტანება ამ ტერიტორიიდან;
 - ბ) უცხოური საქონელი გადაადგილდება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გავლით;
 - გ) გამოიყენება სატარიფო ღონისძიებები;
 - დ) გამოიყენება სატარიფო პრეფერენციები.
- 9. დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დროს:**
- ა) საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გადამუშავდება და მიღებული საქონელი გაიტანება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან;
 - ბ) საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გაიტანება ამ ტერიტორიიდან;
 - გ) უცხოური საქონელი შეინახება და რეალიზდება თავისუფალ სანყობში ან გაიტანება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან;
 - დ) უცხოური საქონელი გადაადგილდება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გავლით;
 - ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**განვითარებული
ქვეყნების
საგადასახადო
სისტემები**

„ქვეყანაზე არსებობს ორი გარდაუვალი რამ:
სიკვდილი და გადასახადები, - მაგრამ სიკვდილი,
გადასახადებისაგან განსხვავებით, უმტკივნეულოა“
ფრანკლინ დელანო რუზველტი




„ამ ქვეყანაზე მხოლოდ სიკვდილი და გადასახადებია
გარდაუვალი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ
სიკვდილი კონგრესის ყოველი სხდომის შემდეგ
არ ხდება უფრო უარესი“

სპარკ მაკუნაგა


10.1


ზოგადი
დებულებები

სურათი 10.1





სურათი 10.2






სურათი 10.4







სურათი 10.6




სურათი 10.7






სურათი 10.9



სურათი 10.10

**სანარმოთა შენატანები სოციალური
დაზღვევის ფონდებში**



10.2

აშშ-ს საგადასახადო სისტემა

„ჩვენი საგადასახადო სისტემა მიმართულია იმაზე, რომ მდიდრები აქციოს ღარიბებად და არა იმაზე, რომ ღარიბები აქციოს მდიდრებად“


არნოლდ შვარცენეგერი




„მე ვამაყოფ იმით, რომ ვიხდი გადასახადებს შეერთებულ შტატებში. თუმცა მე ნახევარი თანხითაც არანაკლებ ვიამაყებდი“

არტურ გოდრფი

სურათი 10.11



სურათი 10.12




„სიკვდილი ყველაზე მოხერხებული მომენტია მდიდრისაგან გადასახადის ამოსაღებად“
დევიდ ჯორჯი
(მემკვიდრეობის გადასახადის შესახებ)

სურათი 10.13



სურათი 10.14




სურათი 10.15

აშშ ფედერალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა (მლრდ. დოლარი)

გადასახადის სახე	წლები		
	1997	2000	2003
საშემოსავლო გადასახადი	737	805	916
კორპორაციათა მოგების გადასახადი	182	203	220
სოციალური დაზღვევის შენატანები	539	623	707
აქციზები	57	70	75
მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი	20	22	26
საბაჟო გადასახადი	18	20	24
სხვა შემოსავლები	25	52	61
სულ	1579	1794	2028

სურათი 10.16

საშემოსავლო გადასახადი აშშ ფედერალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა (2003 წლის მონაცემებით, %-ში)



ფედერალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები

სურათი 10.17

დასაბეგრი შემოსავალი, დოლარი		საგადასახადო განაკვეთი, %
ერთსულიანი ოჯახი	საოჯახო წევრი	
0-24000	0-40100	15
24000-58150	40100-96900	28
58150-121300	96900-147700	31
121300-263750	147700-263750	36
263750-ზე მეტი	263750-ზე მეტი	39.6

კორპორაციათა მოგების ფედერალური გადასახადის განაკვეთები

სურათი 10.18

წლიური შემოსავალი, დოლარი	განაკვეთი, %
0-50000	15
50001-75000	25
75000-100000	34
100001-335000	34+5=39
335001-ზე მეტი	34

სურათი 10.19

ფედერალური გადასახადების განაკვეთები

გადასახადის სახე	განაკვეთი
სოციალური დაზღვევის შენატანები	განაკვეთი დგინდება ხელფასის ფონდის მიმართ ყოველწლიურად ბიუჯეტის ფორმირებისას. საშუალოდ შეადგენს 15,3% ერთ დასაქმებულზე 62,7 ათასი დოლარის ხელფასის გათვალისწინებით. გადასახადს თანაბრად იხდის დაქირავებული და დამქირავებელი.
აქციზები	ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოს ნაწარმზე, საჭაერო გადაზიდვებზე, გზაში განეულ მომსახურებაზე განაკვეთები დიფერენცირებულია, შემოსავლები ფედერალურ ბიუჯეტში ნაკლებ მნიშვნელოვანია (3-4%).
მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი	10000 დოლარამდე შემოსავალი არ იბეგრება. უფრო მეტ შემოსავლებზე გამოიყენება პროგრესული განაკვეთები 18-50%. მაქსიმალური განაკვეთი გამოიყენება 2,5 მლნ დოლარზე მეტ შემოსავლებზე. გაითვალისწინება ნათესაური კავშირები.
საბაჟო გადასახადი	განაკვეთები დიფერენცირებულია, შემოსავლები ფედერალურ ბიუჯეტში ნაკლებ მნიშვნელოვანი.

სურათი 10.20

შტატების საგადასახალო შემოსავლების სტრუქტურა

გადასახადის სახე	%
გაყიდვის გადასახადი	32,0
საშემოსავლო გადასახადი	30,0
კორპორაციათა მოგების გადასახადი	7,5
აქციზი საწვავზე	6,0
აქციზი თამბაქოზე	2,0
აქციზი ალკოჰოლურ სასმელებზე	16,0
ავტომობილების მესაკუთრეთა გადასახადი	3,5
ქონების გადასახადი	2,0
მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი	1,0

შტატების გადასახადების განაკვეთები

გადასახადის სახე	განაკვეთი
გაყიდვის გადასახადი	იბეგრება საქონლის საცალო რეალიზაცია. ჩვეულებრივ სურსათი არ იბეგრება. განაკვეთი 3-8,25% შტატების მიხედვით.
საშემოსავლო გადასახადი	განაკვეთები 15000 დოლარამდე შემოსავლებზე პროგრესულია, უფრო მაღალ შემოსავლებზე – პროპორციული. მერყეობს 2-10%-ის ფარგლებში.
კორპორაციათა მოგების გადასახადი	ძირითადად გამოიყენება პროპორციული განაკვეთები 2-11%-ის ფარგლებში.
აქციზები	დიფერენცირებულია საქონლის სახის მიხედვით. დგინდება დოლარებში საქონლის რაოდენობის მიმართ.
ქონების გადასახადი	ძირითადად ადგილობრივი გადასახადია, თუმცა ზოგიერთი შტატში მისი ნაწილი მიიმართება შტატის ბიუჯეტში. განაკვეთი 0,5-5%-ის ფარგლებშია.
მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი	იბეგრება ანალოგიური ფედერალური გადასახადის მსგავსად, ოღონდ განაკვეთები უფრო დაბალია.

„ზუსტად საშემოსავლო გადასახადმა გადააქცია ამერიკელები ასეთ მატყუარებად“

უილ როჯერსი



„კონგრესი დგას გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე: როგორ მიიღოს ჩვენგან გადასახადები, რომელთა გადახდა ჩვენ არ შეგვიძლია, რათა დახარჯოს ის მასზე, რაც ჩვენ არ გვჭირდება“

უცნობი ავტორი


სურათი 10.22

ადგილობრივი გადასახადები

გადასახადების ჯგუფი	დაბეგვრის თავისებურება
საკუთარი გადასახადები	ქონების, მიწის, სარენაო გადასახადები, აქციზები, გაყიდვის გადასახადი
დანამატები ფედერალურ გადასახადებზე	ზოგიერთი ფედერალური გადასახადების ნაწილი (დანამატი) მიიმართება ადგილობრი ბიუჯეტებში
სამომხმარებლო გადასახადები	სატრანსპორტო საშუალებების, სანახაობების, სასტუმროების გადასახადები, კომუნალური მოსაკრებლები, აქციზები და სხვა
ეკოლოგიური გადასახადები	ფისკალური ხასიათი ნაკლებადაა გამოკვეთილი, ძირითადად ასახავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პოლიტიკას ამ სფეროში

10.3

გერმანიის
საგადასახადო
სისტემა



სურათი 10.23

გერმანიის საგადასახადო სისტემის თავისებურებები

მცირე გადასახადები და მათი ამოღების მცირე დანახარჯები

გადასახადები არ უშლიან ხელს კონკურენციას


გადასახადების ოდენობა შეესაბამება გადამხდელის მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული მომსახურების ოდენობას

გადასახადები მიმართულია შემოსავლების სამართლიანი განაწილებისაკენ

გადამხდელის კომერციული საიდუმლოების დაცვა გარანტირებულია

ორმაგი დაბეგვრა გამორიცხულია

სურათი 10.24




სურათი 10.25




სურათი 10.26

რეგიონალური (მინების) გადასახადები



სურათი 10.28

ადგილობრივი და საეკლესიო გადასახადები



საგადასახადო შემოსავლების განაწილება ბიუჯეტებში

ფედერალური ბიუჯეტი	მინების ბიუჯეტები	ადგილობრივი ბიუჯეტები
საშემოსავლო გადასახადი – 42,5%	საშემოსავლო გადასახადი – 42,5%	საშემოსავლო გადასახადი – 15%
კორპორაციული გადასახადი – 50%	კორპორაციული გადასახადი – 50%	
დამატებული ღირებულების გადასახადი	დამატებული ღირებულების გადასახადი	
სარენაო გადასახადი	სარენაო გადასახადი	სარენაო გადასახადი
საბაჟო გადასახადი	ქონების გადასახადი	მინის გადასახადი
სხვა ფედერალური გადასახადები	მინების სხვა გადასახადები	სხვა ადგილობრივი გადასახადები
საერთო საგადასახადო შემოსავლების 48%	საერთო საგადასახადო შემოსავლების 34%	საერთო საგადასახადო შემოსავლების 13%
საერთო საგადასახადო შემოსავლების 5% მიიმართება საგადასახადო ტვირთის გამოთანაბრების ფონდში და ევროკავშირში		

სურათი 10.29

გერმანიის ძირითადი გადასახადების დახასიათება

გადასახადის სახე	განაკვეთი
საშემოსავლო გადასახადი	შემოსავლებიდან დასაშვებია გამოქვითვები საქველმოქმედო და კულტურული მიზნებისათვის – 10%-მდე, განათლებაზე – 4000€-მდე, დაზღვევის ხარჯები – 2400€-მდე, საეკლესიო გადასახადი, ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევების ხარჯები, ბავშვების მოვლის ხარჯები, შეღავათები ასაკზე, ტრანსპორტის ხარჯებზე და სხვა. დაუბეგრავი მინიმუმი: ერთსულიან ოჯახზე – 7664€, საოჯახო წყვილზე – 15328€. დანარჩენი შემოსავლები ერთსულიან ოჯახზე 52152€-მდე და საოჯახო წყვილზე 104304€-მდე იბეგრება პროგრესული განაკვეთებით 29-42% -ით, უფრო მეტი შემოსავლები – 42%-ით.
კორპორაციათა მოგების გადასახადი	წლიური განაკვეთი 15% (გაუნაწილებელ მოგებაზე – 19-31%)
დამატებული ღირებულების გადასახადი	საერთო განაკვეთი 19% , სურსათზე და ზოგიერთ სხვა საქონელზე – 7%
სოლიდარობის გადასახადი	განაკვეთი 5,5%

გერმანიის ძირითადი გადასახადების დახასიათება (გაგრძელება)

გადასახადის სახე	განაკვეთი
სარეწაო გადასახადი	ადგილობრივი გადასახადი. იბეგრება სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების (გარდა თავისუფალი პროფესიის პირებისა) მოგება. განაკვეთები დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ
მინის გადასახადი	ადგილობრივი გადასახადი. იბეგრება მინის მესაკუთრე (გარდა სახელმწიფო და რელიგიური ორგანიზაციებისა). განაკვეთი ღირებულების 0,31-0,6%.
გადასახადი მინის გაყიდვიდან	მინის ერთი მესაკუთრიდან მეორე მესაკუთრეზე გადაცემა იბეგრება გაყიდვის ფასის 3,5%-ის ოდენობით
მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი	მემკვიდრეები დაყოფილია სამ კატეგორიად. განაკვეთები დიფერენცირებულია ამ ნათესაური კავშირებისა და სამკვიდრო ქონების ღირებულების გათვალისწინებით. შვილებზე დაუბეგრავი მინიმუმი – 205000 ევრო

სურათი 10.31

გერმანიის ძირითადი გადასახადების დახასიათება (გაგრძელება)

გადასახადის სახე	განაკვეთი
ავტომანქანის მესაკუთრეთა გადასახადი	გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია ავტომანქანის ძრავის ტიპზე, სიმძლავრეზე და ეკოლოგიურობაზე
ქონების გადასახადი	იბეგრება მთელი ქონება. დაუბეგრავი მინიმუმი ფიზიკური პირებისათვის – 70000 ევრო, 60 წელზე მეტი ასაკისათვის – დამატებით 30000 ევრო. განაკვეთი – ფიზიკური პირისათვის – 1%, იურიდიული პირისათვის – 0,6%
ფედერალური აქციზები	განაკვეთები: ალკოჰოლური სასმელები – 160 ევრო 100 ლიტრზე; შამპანურზე – 1,4 ევრო 0,75 ლიტრზე; თამბაქოს ნაწარმზე – 9,3 ცენტი სიგარეტზე; ყავაზე – 3,1 ევრო კგ-ზე; ბენზინზე 0,70-0,77 ევრო ლიტრზე
სოციალური ანარიცხები	განაკვეთი – 6,8% ხელფასის ფონდიდან. გადასახადს დამქირავებელი და დაქირავებული იხდიან თანაბრად

10.4

საფრანგეთის
საგადასახადო
სისტემა

სურათი 10.32

საფრანგეთის საგადასახადო სისტემის თავისებურებები

საგადასახადო სისტემის მოქნილობა

სოციალური ორიენტაცია

არაპირდაპირი დაბეგვრის უპირატესობა

ფართო საშეღავათო სისტემა

საშემოსავლო გადასახადის განსაკუთრებული მნიშვნელობა


ტერიტორიალური ასპექტების გათვალისწინება

ორმაგი დაბეგვრისაგან დაცვის მექანიზმების ფართო გამოყენება

სურათი 10.33




სურათი 10.34



სურათი 10.35

საფრანგეთის ადგილობრივი გადასახადები



სურათი 10.36

საფრანგეთის ძირითადი გადასახადების დახასიათება

გადასახადის სახე	განაკვეთი
დამატებული ღირებულების გადასახადი	<p>განაკვეთები: 19,6% (ძირითადი განაკვეთი ყველა საქონელზე); 22% (ფუფუნების საგებზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოს ნაწარმზე, ავტომანქანებზე); 7% (კულტურული დანიშნულების საგნებზე (მაგ. წიგნებზე); პირველადი მოხმარების საქონელზე (მაგ. სურსათი, მედიკამენტები, ტრანსპორტი, საცხოვრებელი). 300000€-ზე ნაკლები ბრუნვის მქონე საწარმოები განთავისუფლებული არიან დღგ-საგან. დღგ-საგან თავისუფლდება სამედიცინო და განათლების მომსახურება, დაზღვევა, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმიანობა. ზოგიერთი საქმიანობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს აირჩიოს დღგ-ის მაგიერ საშემოსავლო გადასახადი.</p>

საფრანგეთის ძირითადი გადასახადების დახასიათება (გაგრძელება)

გადასახადის სახე	განაკვეთი
საშემოსავლო გადასახადი	გადამხდელი – ფიზიკური პირის ოჯახი, საწარმოები (სააქციო საზოგადოებების გარდა); განაკვეთი – პროგრესული 0-54%; განაკვეთები ზუსტდება ყოველწლიურად. სხადასხვა კატეგორიის გადამხდელებისათვის მოქმედებს დაუბეგრავი მინიმუმი და სხვა შეღავათები. საწარმოებისთვის განაკვეთი შეადგენს 34% გაუნაწილებელ მოგებაზე და 42% გაცემულ დივიდენდებზე. საწარმოები აგრეთვე იხდიან მუშაკთა პროფესიული განათლებისათვის 0,6%, პროფესიული გადამზადებისათვის – 1,5-2,3%, და საბინაო მშენებლობისათვის – 0,65% ხელფასის ფონდიდან
საბაჟო გადასახადი	მიზანი – შიდა ბაზრის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დაცვა
საწარმოთა მოგების გადასახადი	გადამხდელები – სააქციო საზოგადოებები; ახლად შექმნილ სააქციო საზოგადოები პირველი 5 წლის განმავლობაში სარგებლობენ შეღავათიანი დაბეგრის პირობებით
სოციალური გადასახადი	გადამხდელი – დამქირავებელი. განაკვეთი: 4,5-13,6% ხელფასის ფონდის მიმართ
ქონების გადასახადი	გადამხდელი – იურიდიული პირები
უძრავი და მოძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული ნამეტი შემოსავლის გადასახადი	უძრავი ქონების მიმართ გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია ამ ქონების საკუთრებაში არსებობის ვადაზე; 20000€-ზე მეტი თანხის შემთხვევაში მოძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი იბეგრება 4,5-7,5%; აქციების გაყიდვის შემთხვევაში განაკვეთი 16%.


**საფრანგეთის ძირითადი
გადასახადების დახასიათება
(გაგრძელება)**

გადასახადის სახე	განაკვეთი
შენობა-ნაგებობებით დაუკავებელი მიწის გადასახადი	იბეგრება სასოფლო-სამეურნეო და განაშენიანებას დაქვემდებარებული მიწები. დასაბეგრი ბაზა შეადგენს საკადასტრო ღირებულების 80%. მოქმედებს შეღავათები
შენობა-ნაგებობებით დაკავებული მიწის გადასახადი	იბეგრება განაშენიანებული მიწები შენობებითურთ. დასაბეგრი ბაზა შეადგენს საკადასტრო ღირებულების 50%. მოქმედებს შეღავათები
საცხოვრებლის გადასახადი	გადასახადს იხდიან როგორც მესაკუთრენი ისე დამქირავებლები ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოქმედებს შეღავათები
გადასახადი პროფესიაზე	გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საქმიანობას ხფლფასის მიუღებლად (კერძო ეკონომიკური, საშუამავლო, არაკომერციული საქმიანობა და სხვა)
სხვა გადასახადები	ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ შემოიღონ სხვა ადგილობრივი გადასახადები


10.5

იტალიის საგადასახადო სისტემა

სურათი 10.39




სურათი 10.40



სურათი 10.41



სურათი 10.42



სურათი 10.43

იტალიის სახელმწიფო გადასახადების დახასიათება

გადასახადის სახე	განაკვეთი
ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი	გამოიყენება პროგრესული დაბეგვრა 10-50%; მაქსიმალური განაკვეთი გამოიყენება 205312€-ზე მეტი შემოსავლების მიმართ. პროცენტები, დივიდენდები, მოგებები ლატარიებში და სხვა შემოსავლები იბეგრება ცალკე, განსხვავებული განაკვეთებით
კორპორაციათა მოგების გადასახადი	იბეგრება გაუნაწილებელი მოგება. განაკვეთი – 36%. გამოიყენება სხვადასხვა გამოქვითვები და სხვა შეღავათები
დამატებული ღირებულების გადასახადი	იბეგრება ყველა სახის საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია; განაკვეთები დიფერენცირებულია: 2% – პირველადი მოხმარების საქონელი, ჟურნალ-გაზეთები; 9% – ძირითადი განაკვეთი; 18% – რესტორნების მომსახურება, ნავთობპროდუქტები; 38% – ფუფუნების საგნები

იტალიის რეგიონალური გადასახადების დახასიათება

გადასახადის სახე	განაკვეთი
სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი	სამრეწველო და კომერციული სანარმოებისათვის განაკვეთი შეადგენს 4,25%, დანარჩენი კომპანიებისათვის – 8,5%. იბეგრება სანარმოები, რომლებიც თავის საქმიანობაში იყენებენ რეგიონის ტერიტორიას და რესურსებს
უძრავი ქონების ღირებულების ზრდის გადასახადი	იბეგრება უძრავი ქონების ღირებულების ნამეტი მისი გასხვისებისას შეძენის ფასთან შედარებით. განაკვეთი დიფერენცირებულია ნამეტის ოდენობის შესაბამისად და იცვლება 3-30%-ის ფარგლებში. გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები.
უძრავ ქონებაზე კომუნალური გადასახადი	ფაქტიურად წარმოადგენს უძრავი ქონების გადასახადს 0,4-0,7%-იანი განაკვეთით
მყარი ნარჩენების ტრანსპორტირებისა და უტილიზაციის გადასახადი	გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია გადამხდელის ოჯახის შემადგენლობაზე, მის მიერ დაკავებულ საერთო ფართზე და გატანილი და გადამუშავებული ნარჩენების მოცულობაზე. განაკვეთი შეადგენს საერთო კომუნალური მომსახურების ღირებულების 5-15%.

სურათი 10.45


იტალიის ადგილობრივი გადასახადების დახასიათება

გადასახადის სახე	განაკვეთი
შენობა-ნაგებობების გადასახადი	წარმოადგენს ქონების გადასახადს. იბეგრება სახლები ქალაქად, აგარაკები, საცხოვრებელი დასახვა ნაგებობები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების გარდა. გადასახადის ოდენობა იანგარიშება წლიური საიჯარო ქირის ბაზაზე
ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადი	გადასახადი გადაიხდება ზოგიერთი სახის შემოსავლებზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ. განაკვეთი – 16,2%. ამოღება ხდება ცენტრალიზებულად სახელმწიფო ხელისუფლების მიერ და მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტებში
ავტოტრანსპორტის გადასახადი	წარმოადგენს ავტომანქანის მესაკუთრეთა გადასახადს. გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია მანქანის ძრავის ცილინდრების მოცულობაზე და სიმძლავრეზე. ამოღებული თანხა მიიმართება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში

10.6

იაპონიის საგადასახადო სისტემა

სურათი 10.46



სურათი 10.47



პირდაპირი გადასახადები იაპონიაში

გადასახადის სახე	განაკვეთი
საშემოსავლო გადასახადი	<p>გადამხდელები – ფიზიკური და იურიდიული პირები, ყველა შემოსავლებზე; განაკვეთები: სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადზე – 10-40% (3-დან 30მლნ იენას შემოსავლებზე; 30 მლნ-ზე მეტი შემოსავლებისათვის – 50%; დაუბეგრავი მინიმუმი – 3 მლნ იენი); პრეფექტურების საშემოსავლო გადასახადისათვის – 5, 10, 15%; ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადისათვის – განისაზღვრება ადგილობრივი ორგანოების მიერ. მნიშვნელოვანი შეღავათები. ოჯახი, სადაც ორი პირი მუშაობს იბეგრება უფრო მეტი შეღავათით, ვიდრე ოჯახი ერთი მომუშავეთ</p>
კორპორაციათა მოგების გადასახადი	<p>განაკვეთი – სახელმწიფო გადასახადზე – 33,48%, პრეფექტურების გადასახადზე – 1,67%, ადგილობრივ გადასახადზე – 4,12%. გამოიყენება შეღავათები მცირე ბიზნესისათვის. მიღებული შემოსავლები ნაწილდება სახელმწიფო, პრეფექტურებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში</p>
ქონების გადასახადი	<p>განაკვეთი – 1,4%; იბეგრება – მინა, სხვა უძრავი ქონება, ფასიანი ქაღალდები, პროცენტები საბანკო დეპოზიტებზე; აგრეთვე ქონების გადაცემა ყიდვით, ჩუქებით, მემკვიდრეობით. შეღავათები</p>

სურათი 10.49

არაპირდაპირი გადასახადები იაპონიაში

გადასახადის სახე	განაკვეთი
დამატებული ღირებულების გადასახადი	იბეგრება ყველა სახის საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია; განაკვეთი – 5% .
აქციზები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება, მსუბუქი ავტომანქანები.

საკონტროლო კითხვები

1. დაახასიათეთ განვითარებულ ქვეყნებში გამოყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები.
2. დაახასიათეთ აშშ საგადასახადო სისტემა.
3. დაახასიათეთ გერმანიის საგადასახადო სისტემა.
4. დაახასიათეთ საფრანგეთის საგადასახადო სისტემა.
5. დაახასიათეთ იტალიის საგადასახადო სისტემა.
6. დაახასიათეთ იაპონიის საგადასახადო სისტემა.

საკონტროლო ტესტები

